ლია მენთეშაშვილი ნატო შეროზია

მე-19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები

თბილისი
2013

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილულია სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლისა და ნიკო ცხვედაძის პედაგოგიური შეხედულებები.

ნაშრომი განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია ქართული პედაგოგიკის ისტორიის საკითხებით.

რედაქტორი: პროფესორი **ავთანდილ ასათიანი**

რეცენზენტები: პროფესორი **კონსტანტინე რამიშვილი**
პროფესორი **ნინო ჩახუნაშვილი**

დიზაინერი დალი ჯვარშეიშვილი

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2013
© ლია მენთეშაშვილი, ნატო შერაზია 2013

ISBN 978-9941-424-98-4

სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური შეხედულებები და თანამედროვეობა

სოლომონ დოდაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. იგი ფართო განათლების, ღრმად მოაზროვნე და ნიჭიერი პიროვნება იყო. ს. დოდაშვილი ერთ-ერთი ის პირველთაგანია, რომელმაც დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტში სწავლის წლებმა.

სოლომონ დოდაშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ის მუშაობდა ფილოსოფიაში, ისტორიაში, პედაგოგიკაში, ლიტერატურაში, ესთეტიკასა და სხვა დარგებში. მის ნიჭიერებაზე მეტყველებს ის, რომ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, სრულიად ახალგაზრდამ, 22 წლის ასაკში „ლოგიკა“ სადისერტაციო ნაშრომად წარადგინა. ეს იყო ძალზე ნიჭიერად დაწერილი ნაშრომი, რომელზეც „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ დაიბეჭდა პოლევოის სტატია, ხოლო „მოსკოვსკი ვესტნიკში“ ტიტოვის სტატია; დადებითი რეცენზიით გამოეხმაურა აგრეთვე „სევერნაია პჩელა“.

პედაგოგიკის პრობლემებზე ცალკეული შრომები არ დაუწერია სოლომონ დოდაშვილს, მაგრამ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრობლემებზე, სკოლის მუშაობის შინაარსზე, მიზნებსა და ამოცანებზე. მან თავისი პედაგოგიური შეხედულებები გადმოგვცა ძირითადად 1832 წლამდე დაწერილ ნაშრომებში: „ლოგიკა“, „რიტორიკა“, „ლოგიკური მეთოდოლოგია“, „შემოკლებული ქართული გრამატიკა“.

სოლომონ დოდაშვილი ოცნებობდა, რომ ქართული განათლება ევროპული განათლების დონეს გათანაბრებოდა, რითაც აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა სკოლების ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება,ქართული მეცნიერების წინსვლა.

პროგრესულად მოაზროვნე ფილოსოფოსმა ს.დოდაშვილმა 1832 წელს დააარსა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (სულ ხუთი ნომერი გამოვიდა, რადგან ჟურნალი დაიხურა 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენის გამო). პროფ. გ.თავხიშვილი მიუთითებს: „ევროპული განათლებისათვის ბრძოლის პროგრამით დაიწყო ს.დოდაშვილმა პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ გამოცემა“ (5,263). აღნიშნულმა ჟურნალმა პირველმა მისცა დასაბამი XI საუკუნის ქართულ პრესაში პედაგოგიკის პრობლემების განხილვა-გაშუქებას.

სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში უაღრესად მნიშვნელოვანია და კელევის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს მომავალი თაობის აღზრდა-განათლების მიზნისა და შინაარსის გარკვევა. მისი შეხედულებით ყოველ ადამიანს ახასიათებს გარკვეული ლტოლვა ჰარმონიულობისაკენ და ეს ჰარმონია თვით პიროვნებაშია, როგორც სუბიექტში და აგრეთვე მის გარემომცველ ბუნებაში. ამასთან დაკავშირებით ს. დოდაშვილი აღნიშნავდა: „ადამიანში არსებული ჰარმონია არის ერთიანობა კანონებისა, რომელთაც მისი განვითარება ექვემდებარება, ხოლო ჰარმონია ბუნებაში ერთიანობა – კანონებისა, რომელნიც სამყაროს მოვლენათა უსაზღვრო ჯაჭვსა და განვითარების საფუძველს წარმოადგენდნენ. ადამიანის ლტოლვა ანუ მისწრაფება ამ ჰარმონიისაკენ, არი ადამიანის განვითარების პროცესი, ხოლო წვდომა ანუ შეცნობა აღნიშნული ჰარმონიისა – განვითარების მიზანი.

ვინც ადამიანს დაკვირვებია, მან იცის, რომ იგი მიილტვის რა ჰარმონიისაკენ თავისი ბუნებით, შეუწყვეტლად ეძებს მას აგრეთვე გარე ბუნებაშიც“ (4,1). ამ თვალსაზრისით ადამიანის პრობლემა აქ, ამავე დროს არის პედაგოგიური პრობლემაც, რომელსაც საფუძვლად უდევს ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის იდეა. ე.ი. ს. დოდაშვილის ნააზრევიდან ვასკვნით, რომ აღზრდის მიზანი და ამოცანა არის ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება და საჭიროა აღზრდაში ბუნებისშესაბამისობის გათვალისწინება. პიროვნების ჩამოყალიბებაში აღზრდის ფაქტორს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ს. დოდაშვილი. მისი აზრით, აღზრდის საშუალებით შეიძლება ადამიანი „სხუა ადამიანად“ იქცეს; სათანადოდ წარმართულმა აღზრდის პროცესმა, შეიძლება მრავალმხრივ შეცვალოს და გარდაქმნას პიროვნება.

დიდი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის შეხედულებით აღზრდის პროცესში უნდა ხდებოდეს „გარკვეული სახის ცოდნათა სისტემის“ ანუ მეცნიერების დაუფლება სწავლების, ცოდნის შეძენის გზით, ე.ი. გონებრივი განათლების მიღება, რაც არ წარმოადგენს ცალმხრივ პროცესს. ს.დოდაშვილის შეხედულებათა გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ,რომ აღზრდის შედეგად ორი ამოცანა უნდა გადაწყდეს; ჩამოყალიბდეს „განათლებული გონებისა და განვითარებული გულის პიროვნება“ ე.ი. აღზრდის პროცესი გულისხმობს გონებრივი და ზნეობრივი მხარეების განვითარებას. აღზრდის სწორედ ეს ორი მიმართულება განსაზღვრავს პიროვნების შემდგომი ცხოვრებისათვის, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად, პასუხისმგებლობის გრძნობით შესრულებისათვის მომზადებას. ყურადსაღებია ს. დოდაშვილის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით: „რაოდენაც კაცს აქვს უმეტეს განათლებული გონება

და განვითარებული გული, ესე ოდენ უკეთილესად მისწვდების თვისსა საგანსა“ (3,164). აქედან შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: მშობელმა და მასწავლებელმა თავიდანვე უნდა იზრუნონ და ისე წარმართონ აღზრდა, რომ ის ემსახურებოდეს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას. აღმზრდელმა წინასწარ უნდა დასახოს აღზრდის მიზანი და ამოცანა, წინასწარ უნდა განსაზღვროს,რა მიმართულებით წარმართოს ბავშვისა და მოზარდის აღზრდა.

გონებრივი განათლების მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერების დაუფლება, ეს კი რაღა თქმა უნდა გონების „სრულყოფილებაზე“ მიუთითებს; ცოდნისა და განათლების შეძენის ეს პროცესი გულისხმობს სხვადასხვა მეცნიერებების ერთიან სისტემაში მოყვანას.

სოლომონ დოდაშვილის მიხედვით ცოდნის შეძენის, გონებრივი განათლების მისაღებად აუცილებელია ცოდნის სისტემატური და თანმიმდევრული გადაცემა, რადგან „ყოველი მეცნიერება მოითხოვს სისტემატურ გადმოცემას“ (3,164). თანამედროვე პედაგოგიკაშიც ხომ სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს რომ მოსწავლეებს თანმიმდევრულად გადაეცეთ მხოლოდ სისტემაში მოყვანილი ცოდნა. აღნიშნულ პრინციპს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პედაგოგიკის კლასიკოსები; თანამედროვე სკოლის გეგმები და პროგრამებიც სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით არის შედგენილი, რათა უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ დასისტემებული ცოდნის შეთვისება.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სოლომონ დოდაშვილის შეხედულებით ცოდნის მიღება დადგენილ ჭეშმარიტებაში გარკვევას ნიშნავს და „ცოდნა ორნაირად მიიღება: 1. გამოცდილების საშუალებით (ა პოსტერიორი) ან 2. გონების მეშვეობით (ა პრიორი). პირველ შემთხვევაში ცოდნას ეწოდება ემპირიული, მეორეში კი გონებითი.

ემპირიული შემეცნება დაფუძნებულია ან საკუთარ ან სხვის გამოცდილებაზე... ისტორიული მეცნიერებანი მეტწილად დამყარებულია სხვების გამოცდილებაზე... გონებითი შემეცნება არის ან ფილოსოფიური, ან მათემატიკური... როგორც მათემატიკური, ისე ფილოსოფიური შემეცნებანი საყოველთაო და აუცილებელი (3,321).

„ლოგიკის" მეორე ნაწილში, „ლოგიკური მეთოდოლოგია", სოლომონ დოდაშვილი ყურადსაღებ, ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს გვთავაზობს სწავლების მეთოდებზე, მასწავლებლებზე, საერთოდ სწავლების პროცესზე. ის გვთავაზობს სწავლების შემდეგი სახის მეთოდებს. „1. ანალიზური და სინთეზური. პირველში ჩვენ მივდივართ შედეგებიდან საფუძვლებისაკენ, მეორეში კი საფუძვლებიდან შედეგებისაკენ; 2. სქოლასტიკური და სადა – ხალხური: პირველია ის, რომელშიც შემეცნება გადმოიცემა განყენებულ საგნებში და გამოთქმები იხმარება სქოლასტიკური. მეორე კი ისაა,რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების გამოთქმები იხმარება. 3. დოგმატიკური და სკეპტიკური: „პირველი იმაში მდგომარეობს, რომ მასში რაიმე გამოითქმის დადებითად, მეორე ისაა, რომელიც დაეჭვებულია ჭეშმარიტებაში; 4. „მეთოდი" დაიყოფა აკრომატიკულ და ეროთემატიკულ მეთოდად. პირველში მასწაელებელი იძლევა მხოლოდ წესებს, მეორე კი ორგეარია: „დიალოგური და კატეხიზმოური" (3,326-327). ამასთან დაკავშირებით პროფ. ო. ქინქლაძე აღნიშნავს: „სწავლების ამ დიდაქტიკური პრინციპებიდან ცხადი ხდება ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც სწავლება და სწაელა უნდა აკმაყოფილებდეს: 1. საფუძვლიანობა; 2 სრულყოფილება, სისტემატურობა" (9,50).

სოლომონ დოდაშვილი საინტერესოდ მსჯელობს სწავლების საკითხებზეც. მისი შეხედულებები დღესაც აქტუალურია თანამედროვე პედაგოგიკის მეცნიერებისა

და საზოგადოებისათვის. როგორც განმანათლებელი და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, მომავალი თაობის ბედიღბლით დაინტერესებული პიროვნება, ს. დოდაშვილი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ სწავლა-განათლებაში პიროვნების ნიჭი დაფასებულიყო უპირველეს ყოვლისა და არა გვარიშვილობა; იგი წოდებრივი პრივილეგიების წინააღმდეგი იყო. მისი აზრით განათლების ერთნაირი უფლება უნდა მიენიჭოს ყველა ასაკისა და წოდების ახალგაზრდას. ამასთან დაკავშირებით ს.დოდაშვილმა იონა ხელაშვილისადმი მიწერილ წერილში (17 მარტი, 1827) უდიდესი გამბედაობა გამოიჩინა იმ დროისათვის და თავისი გულისტკივილი ასე გამოხატა: „სწავლასა შინა დიდი კაცისა და მცირისა ერთნი და იგივე არიან, ესე იგი, ერთად შესარაცხ არიან მასწავლებლისა თანა“ (3,255). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ს. დოდაშვილი მხოლოდ თეორიულად კი არ იძლეოდა მხოლოდ ასეთ რეკომენდაციებს, არამედ მთელი თავისი შეგნებული მოღვაწეობით, პრაქტიკულად იღწვოდა ამ ჰუმანური მიზნის განსახორციელებლად.

მომავალი თაობის სწავლის,აღზრდისა და განათლების პრობლემების მოგვარებას ს. დოდაშვილი ძირითადად სკოლას აკისრებდა, რადგან საამისოდ ოჯახთან შედარებით მას უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს იმისათვის, რომ განათლებული, განსწავლული ახალგაზრდობა აღიზარდოს. როგორც ს. დოდაშვილი არა ეროგზის მიუთითებდა, საჭირო იყო არა მარტო სკოლების რიცხვის ზრდა, არამედ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება. სასკოლო განათლების გარდაქმნა გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მას და მკაცრად აკრიტიკებდა იმდროინდელი აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრაქტიკას. ს. დოდაშვილს სურვილი ჰქონდა სასკოლო განათლება მის მიერ შემუშავებული პრინციპების

მიხედვით გარდაქმნილიყო. მან თავისი შეხედულებები იმდროინდელი განათლების მინისტრის სისტემის გარდაქმნის აუცილებლობაზე ადგილობრივ მმართველობას გააცნო. ამასთან დაკავშირებით ს. დოდაშვილი წერდა: „დღეს, ნოემბრის 20-სა, გახლდი მთავარმართებელს ღრაფ პასკევიჩ-ერევანსკისთან, რომელმანცა მიბრძანა, რომელ ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებელთა შინა დააწყობს სხვასა კანონებსა, მრავალს ცვლილებასა ჰყოფს და აგრეთვე უეზდებში გახსნის სასწავლებლებს და მისცემს თვისსა წესს და მდგომარეობას, მე მოვახსენე ასრეთ: დიდ ფრიად საჭირო არს ესრეთი საფუძველი სიბრძნისა ამას შინა და მან მიბრძანა, მალე იქნება ესრეთ“ (3,296).

სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური ნააზრევიდან ყურადღებას იქცევს მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული შეხედულებები. მასწავლებელი ცოდნის უპირველეს გამავრცელებლად მიაჩნდა, მის უპირველეს დანიშნულებად თვლიდა, მომავალ თაობაში ცოდნის შეძენის სურვილი აღეძრა; მასწავლებლის პროფესიას რთულ პროფესიათა რიგს მიაკუთვნებდა და „უძნელეს თანამდებობას“ უწოდებდა. მისი აზრით მასწავლებელს უპირველეს ყოვლისა მოეთხოვება საგნის კარგი ცოდნა და ის უნდა იყოს კარგი მეთოდისტი, საფუძვლიანად ერკვეოდეს ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებში, რათა წარმატებით გადაჭრას მის წინაშე დასახული ამოცანები.

სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური შეხედულებებიდან აღსანიშნავია აღმზრდელობითი სწავლების იდეა. სწავლებას იგი აღმზრდელობით ფუნქციას აკისრებდა; აღმზრდელობითი სწავლების იდეა მან განავითარა და ჭეშმარიტ მეცნიერულ საწყისებზე დააყუდნა. როგორც პროფ. გ. თავზიშვილი მიუთითებს, „ეს იდეა ახალი არ იყო საქართველოსათვის, იგი XVIII საუკუნეში უკვე იყო

წარმოდგენილი ქართულ მწერლობასა და პედაგოგიკაში, მაგრამ როგორც ოჯახის ამოცანა, ს.დოდაშვილმა აღმზრდელობითი სწავლების იდეა თავისი დროის მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა და უმთავრესად სკოლის ამოცანად დასახა იგი" (5,275).

სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრეობის შესწავლით ერწმუნდებით, რომ მისი შეხედულებები მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ გასათვალისწინებელია თანამედროვე ქართული პედაგოგიკის მეცნიერებისათვის. მისმა ფილოსოფიურ-პედაგოგიურმა ნააზრევმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული პედაგოგიური მეცნიერება.

ლიტერატურა:

1. აბზიანიძე გ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959.
2. გაბიძაშვილი ო., სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1980.
3. დოდაშვილი ს., თხზულებანი, ა. ბოჭორიშვილისა და ს. ხუციშვილის რედაქციით, თბ., 1961.
4. Додаев Магарский. Курс философии, ч I, Логика, 1827.
5. თაქზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.
6. პედაგოგიკის ისტორია (რედაქტორი პროფ. ნაოელა ვასაძე) თბ., 1988.
7. სარიშვილი ტ., სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური შეხედულებები – კრებულში: სოლომონ დოდაშვილი (საიუბილეო გამოცემა), თბ., 1986.
8. ქართული პედაგოგიკის ისტორია (რედაქტორი, პროფ. გალაქტიონ სიხარულიძე), თბ., 1974.
9. ქინქლაძე ო., ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ჩამოყალიბება, თბ., 1980.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებების თანამედროვე გააზრება

მეცხრამეტე საუკუნის საქართველო წარმოუდგენელია ილია ჭავჭავაძის გარეშე. ის იყო „ერის მამა“, ხალხის მეთაური, სულიერი ბელადი, რომელსაც „ერის წყლული აჩნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით სული“. დიდმა მამულიშვილმა საქართველოსა და ქართველ ხალხზე ფიქრი და წუხილი ნატყვიარ შუბლთან ერთად თან ჩაიტანა სამარეში.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დიდი ილია არ შეხებოდა და თავისი გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვა.

ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო მწერალი, განმანათლებელი და იურისტი, საზოგადო მოღვაწე და ფილოსოფოსი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლა მრავალმხრივი ასპექტით არის მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მას პედაგოგიური პრობლემებიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ.

ილია ჭავჭავაძემ დიდი როლი შეასრულა საქართველოში პედაგოგიური იდეებისა და საერთოდ, პედაგოგიკის მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მან პირველმა მოგვცა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დეფინიცია საქართველოში. გერმანელი პედაგოგის ჰოტგილფ ზალცმანის (1744-1811) „კონრად კიფერის“ ქართული გამოცემისათვის 1863 წელს დაწერილ წინასიტყვაობაში ილია მიუთითებდა: „პედაგოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს: ყმაწვილის აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ... ჩვენში ძლიერ ცოტამ იცის, რომ

არსებობს მეცნიერება – პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“ (5,75).

ილია კარგად იცნობდა მსოფლიო პედაგოგიკის კლასიკოსების – იან-ამოს კომენსკის. ჟან-ჟაკ რუსოს, იოჰან-ჰენრიხ პესტალოცის, ადოლფ დისტერვეგის, კონსტანტინე უშინსკის პედაგოგიურ შეხედულებებს და ქართული ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, შემოქმედებითად იყენებდა მათ ნააზრევს.

დიდმა მწერალმა თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრობლემებისადმი.

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა უცოდინრობასა და ახალგაზრდობას ცოდნის შეძენისაკენ მოუწოდებდა. ილია, როგორც განმანათლებელი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-განათლებას, ცოდნას ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული წინასვლისათვის. დიდი მამულიშვილი განათლებულ მომავალ თაობაზე ამყარებდა იმედს, მომავლის რწმენით შეჰყურებდა მას და წერდა: „ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“ (5,137).

ილიას აზრით, „ახალ საზოგადოებას ააშენებს ზნეობრივად აღზრდილი, განსწავლული ახალგაზრდობა; ცხოვრების გარდაქმნისათვის ძლიერი ფარხმალია ცოდნა და განათლება“, ხოლო ქვეყნის დაცემისა და ჩამორჩენის მიზეზს იგი უცოდინრობასა და გაუნათლებლობაში ხედავდა; მთელი ქაროველი ერის გასაგონად, უდიდესი გულისტკივილით ღაღადებდა: „თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა, უმეცრება და უსწავლელობაა“ (6,244). აქვე, მისეული სიბრძნით ილია შენიშნავს: „უმეცრებასთან ბრძოლა

მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთადეროი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოერებას“ (6,249). ილია ჭავჭავაძე ცოდნის მნიშვნელობას, რომ მაროლაც აიდეალებდა, კარგად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „ხალხის ღვთისნიერ წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარებელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვამარაგებს, რამდენიც ჩვენთვის მობარებული აქვს.... ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თავისთავად სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედ უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.... ცოდნა რაც ბევრს დაურიგო, ბევრს დაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არა მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს“ (5, 276-277).

ილია ჭავჭავაძე გულწრფელად განიცდიდა ერის უცოდინრობას, წუხდა იმის გამო, რომ ქაროველები ნაკლებად ეტანებოდნენ სკოლებს და სასწავლებლებს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გულგრილობას იჩენდა ცოდნისა და შვილების სწავლა-განათლების მიმართ, რადგან ისინი სწორად ვერ აფასებდნენ განათლების მნიშვნელობას, მის სიკეთესა და საჭიროებას ახალგაზრდის ცხოერებაში. დიდი მამულიშვილის სურვილი იყო ქართველ ახალგაზრდებს ჭეშმარიტი ცოდნა შეეძინათ, იგი ებრძოდა დოგმატურ სწავლებას.

ილია იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას, რომ იგი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ დაწყებითი განათლების გაერცელებით და აქტიურად იბრძოდა საშუალო სასწავლებლების ქსელის გაფართოებისათვის.

ილია ჭავჭავაძე მისთვის დამახასიათებელი სიბრძნით

ქართველ ახალგაზრდობას ურჩევდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლებას და ამ ცოდნის მშობლიური ქვეყნის, ხალხის სამსახურში ჩაყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას ნათელი მომავალი არ ექნებოდა.

ილია ჭავჭავაძე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა მშობლიურ ენაზე სწავლებას. სხვა ქართველ სამოციანელებთან ერთად, აქტიურად იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის, ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის გამარუსებელ პოლიტიკას, მაგრამ იგი არ უარყოფდა რუსული თუ სხვა ევროპული ენების შესწავლას, რადგან უცხოური ენების ცოდნა მისი ღრმა რწმენით მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევდა ქართველებს სხვა ქვეყნების ლიტერატურისა და კულტურის გაცნობა-შესწავლაში.

დიდი მამულიშვილი სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ „ბავშვმა თავდაპირველად თავის დედაენაზედ უნდა გაიხსნას გონება“ (5,209). ილია ყურადსაღებ, ანგარიშგასაწევ მეთოდურ რეკომენდაციებს იძლეოდა მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ. „ბავშვის სკოლაში შესვლის შემდეგ პირველს ნახევარ წელიწადს სწავლა უნდა მიდიოდეს დედა-ენაზედ. მეორე ნახევარ წელიწადსაც დედა-ენაზედ უნდა იყოს სწავლა... მეორე წელიწადს იმ შეგირდებმა, რომელთაც შეისწავლეს წერა და კითხვა დედა-ენაზედ, უნდა დაიწყონ წერა და კითხვა რუსულადაც, მაგრამ რასაც რუსულადაც სწავლობენ, უსათუოდ დედა-ენის შემწეობით ახსნილი იყოს“ (5,210).

მშობლიური ენის ინტერესების დასაცავად იაკობ გოგებაშვილთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვა ქართველ სამოციანელებთან ერთად აქტიურად იბრძოდა ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველი ერის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, ილია მკაცრად აცხადებდა: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხევლად

ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დამოუკიდებელ გზას სასწავლებელში – ეს მარტო დედა ენის სიყვარულით არ მოგვედის. ვთხოულობთ და ენატრობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია“ (5,91-92).

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. ილიას აზრით, აღზრდა ისე უნდა წარიმართოს, რომ სწორად განვითარდეს ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური ძალები. მომავალი თაობის ზნეობრივი ფორმირების საქმეში აღმზრდელთან ერთად იგი მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას აკისრებს იმ წრეს, გარემოს, სადაც ბავშვი იზრდება. „იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველ ხანიდანვე ჰტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიარეა და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე“ (5,30).

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჭეშმარიტი ჰუმანიზმის ნათელი გამოხატულებაა.

ილიას აზრით, ჭეშმარიტ ადამიანს სხვისი სიხარულის გაზიარება-გათავისება უნდა შეეძლოს „ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამჩნევს, ვერც აღიბეჭდავს“ (3, 418).

დიდი მწერლის შეხედულებით ადამიანის სიყვარული მარტო ეკონომიკური დახმარებით კი არა უნდა გამოვხატოთ, არამედ ადამიანებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთის პატივისცემა, ურთიერთგაგება, თანადგომა და ცხოვრების წესად გაიხადოს „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი გმირის სიტყვები „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის“.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს შრომითი აღზრდის საკითხებს. შრომითი აღზრდის პრობლემა ყოველთვის იყო, არის და იქნება აქტუალური. დიდმა ილიამაც კარგად იცოდა შრომისა და მშრომელი ადამიანის ფასი, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომას საზოგადოების წინასწელასა და განვითარებაში, შრომისმოყვარეობა პიროვნების უპირველეს თვისებად მიაჩნდა და ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: „შრომა – ცხოვრებაა, ცხოვრება – სიამოვნებაა.... რამდენადაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი იმოდენად მასში ძლიერია ბეჯითობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება“ (5,435).

ილია ჭავჭავაძისათვის ყოვლად მიუღებელია ეშმაკობითა და გაიძვერობით სარჩო-საბადებლის შოვნა, თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ალალი შრომით არც ისე ადვილია ლუკმა-პურის შოვნა. ამისათვის დიდი შრომა გარჯაა საჭირო. შრომას ომს ადარებს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ომი „სისხლის ღვრისა – კი არა, ოფლის ღვრისაა. ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა, უბუკნაღაროდ სთესავს, უბუკნაღაროდ მკის“ (3,176-177).

დიდი ილია მისთვის დამახასიათებელი გონიერებით ბევრ სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევდა თანამემამულეებს მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ, მაგრამ ეს პროცესები რომ სწორად წარიმართოს, აუცილებელია განსწავლული პიროვნება – პედაგოგი. ილია მასწავლებლის უპირველეს მოვალეობად თვლიდა მცოდნე, განსწავლული და ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდას. ილია, როგორც განმანათლებელი, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა მასწავლე-

ბელს. მისი აზრით, მასწავლებელს მოეთხოვებოდა საგნის კარგი ცოდნა, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვა.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საოჯახო აღზრდის საკითხებს. მან კარგად იცოდა, რომ ბავშვის წესიერად აღზრდა ოჯახის ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა. ილია უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა მშობლებს მომავალი თაობის აღზრდაში. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: „საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა, და აი სწორედ ამის სახარჯოსაოვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედებთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ... გაზრდა შვილისა კი ისეთი მოვალეობაა. რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შეეწიროთ, ამას უნდა შეევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დაიკლოთ და ყოველიე ნაწავ-ნადაგი, ყოველიე ამაგი და უფროს – ერთი დრო ამას უნდა შეახმაროთ“ (4,364-365). შემთხვევითი არ არის მშობლების მიმართ ასეთი მოთხოვნები. ბავშვი, მოზარდი დროის ყველაზე დიდ ნაწილს მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან ატარებს მშობლების, ოჯახური გარემოს გავლენა მოზარდებზე მნიშვნელოვანია.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებები დღესაც აქტუალურია, ქართული პედაგოგიკური მეცნიერების სახელმძღვანელო პრინციპებია და მათ დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვთ.

ლიტერატურა:

1. გოზალიშვილი შ., ერის დიდი მოამაგე, თბ., 1991.
2. ობოლაძე უ., ილია ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1986, №6.
3. ჭავჭავაძე ი., ტ. IV, თბ., 1987.
4. ჭავჭავაძე ი., ტ. IV, თბ., 1955.
5. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი. პროფ. გ.თაყაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1938, თბ., 1948.
6. ჭავჭავაძე ი., ტ. V, თბ., 1987.
7. ჯიბლაძე გ.,ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის პრობლემები, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1978, №5.

მასწავლებლის სახე
ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში

ქართველ სამოციანელთა უპირველესი საზრუნავი იყო განათლებული, მცოდნე, მაღალზნეობრივი თეისებების მქონე, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი ახალგაზრდების აღზრდა. ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი, როგორც XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი პლეადის ღირსეული წარმომადგენლები, მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდნენ უცოდინრობასა და ახალგაზრდობას ცოდნის შეძენისაკენ მოუწოდებდნენ. ორივე, როგორც დიდი განმანათლებელი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-განათლებას, ცოდნას ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული წინსვლის საქმეში.

ქართველი სამოციანელები მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების პროცესების სწორად წარმართვაში, მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებდნენ მასწავლებელს.

ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის პროფესიის დანიშნულებაზე არაერთ მხატვრულ ნაწარმოებში, შინაურ მიმოხილვებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში გამოხატავდა თავის შეხედულებებს.

ილია, როგორც განმანათლებელი, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა მასწავლებელს. მისი აზრით, მასწავლებელს მოეთხოვება საგნის კარგი ცოდნა, ფართო განათლება და ერუდიცია. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მოზარდის შინაგან სამყაროში წვდომის უნარი და გამოირჩეოდეს თავისი

ზნე-ხასიათით, პატიოსნებით, სამართლიანობით, ბავშვების მიმართ თბილი, მოსიყვარულე დამოკიდებულებით.

დიდი ილია მასწავლებლის პროფესიას რთულ პროფესიათა რიგს აკუთვნებდა. ილიას აზრით, პედაგოგი აუცილებელია საფუძვლიანად ერკვეოდეს ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებში, რათა წარმატებით გადაჭრას მის წინაშე დასახული ამოცანები. ილიას ბავშვის აღზრდა რთულ საქმედ მიაჩნდა მასწავლებლისათვის. მისი აზრით, ეს სირთულე მასწავლებლისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის ყოველმხრივ შესწავლაა აუცილებელი. პირველ რიგში საჭიროა ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა. ეს კი, საკმაოდ რთულია იმიტომ, რომ „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძველ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი“ (6,280).

ილია ჭავჭავაძე მასწავლებელს ორ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას აკისრებდა: 1. საგანმანათლებლო და 2. აღმზრდელობითი. საგანმანათლებლო ფუნქციაში იგულისხმება მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მეცნიერული ცოდნით შეიარაღება, ხოლო აღმზრდელობითი ფუნქცია გულისხმობს მომავალ თაობაში მაღალზნეობრივი თვისებების (ჰუმანურობა, თავმდაბლობა, სიმტკიცე და სხვ.) განვითარებას.

აღსანიშნავია ის, რომ ილია ჭავჭავაძე ზნეობრივ აღზრდაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლის პირად მაგალითს. მისი აზრით, აღსაზრდელებისათვის მაგალითის მიმცემი, ბავშვებთან ურთიერთობაში გულთბილი, თავშეკავებული და ტაქტიანი უნდა იყოს იგი.

ილია ჭავჭავაძეს თავისი შეხედულებები მასწავლებლის პროფესიასა და მის დანიშნულებაზე საინტერესოდ აქვს გადმოცემული ლიტერატურულ ეტიუდში „უცნაური ამბავი“. მთავარი გმირი სოლომონი ამბობს: „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“ (7,321). პროფ. გ.თავზიშვილი სოლომონის სიტყვებს პრინციპულ პედაგოგიურ დებულებას უწოდებს და მიუთითებს, რომ „ყრმის პირველ შემოქმედად ილია გულისხმობს მშობელს, რომელიც აძლევს ყრმას ადრეულ ფიზიკურ აღზრდას“ (3,198). აქედან ვასკვნით, რომ მასწავლებელი, აღმზრდელი არის მეორე შემოქმედი, რომლის თავდაუზოგავი შრომით ხდება მომავალი თაობის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბება.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად, მისი თანამებრძოლი იაკობ გოგებაშვილი საყურადღებო მოსაზრებებს გვთავაზობს მასწავლებლის პროფესიაზე. „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდაში მასწავლებელს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა იგი. ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს მრავალი მსგავსი მოსაზრება აქვთ მასწავლებლის პროფესიის დანიშნულებაზე. იაკობის აზრითაც მასწავლებელი თავისი საგნის ზედმიწევნით კარგი მცოდნე უნდა იყოს და ხალხის განათლებას ერთგულად ემსახურებოდეს. დიდი მამულიშვილი მოითხოვდა, რომ მასწავლებელი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდეს, ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად იყოს ჩაბმული.

სულმნათი იაკობი მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა მის დადებით პიროვნულ თვისებებს, ავტორიტეტს, რადგან პედაგოგიკის კლასიკოსის შეხედულებით მაღალზნეობრივი თვისებების მასწავლებელი უფრო მეტ ნდობას მოიპოვებს ხალხში.

დიდმა ქართველმა სამოციანელმა კარგად იცოდა

მისი დროის მასწავლებლის დუხჭირი ცხოვრება, რის გამოც აიმაღლა ხმა, მათზე ზრუნვა გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: „საჭიროა მეტი მზრუნველობა მასწავლებლის კეთილდღეობაზე, მეტი ნდობა მისდამი – აი საუკეთესო წამალი ჩვენი სკოლების განკურნვისა, აღორძინებისა, აყვავებისა“ (1,125).

დიდი მამულიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და მისი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა სოფლის სკოლის მასწავლებელთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. იაკობი მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავდა, ისინი ქვეყნის წინსვლისათვის საჭირო ადამიანებად მიაჩნდა.

იაკობ გოგებაშვილი ქართულ სკოლაში მომუშავე მასწავლებლებისაგან ქართული ენის ცოდნას მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით საესებით სამართლიანად მიუთითებდა: „უაზრობაა სოფლის დაწყებით სკოლაში მასწავლებლად გამწესებულ იქნას ისეთი პირი, რომელიც სრულიად არ იცნობს პატარა მოსწავლეებს, მშობლიურ ენას, ერთადერთ სიტყვიერ იარაღს, რომელსაც ისინი ფლობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც უკლებლივ ყველაფერი დამოკიდებულია ურთიერთგაგებაზე, დავამყაროთ სრული გაუგებრობა მოსწავლეთა და მასწავლებლებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ განათლებისა და ცოდნის კერა გადავაქციოთ სიბნელისა და სიჩლუნგის წყაროდ, შესაძლებელი სამოთხე ვაქციოთ გარდაუვალ ჯოჯოხეთად“ (1,248).

იაკობ გოგებაშვილს მასწავლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არცერთი ნიუანსი არ გამორჩენია. ის დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა იმდროინდელ მთავრობას სკოლებიდან მასწავლებელთა დევნის გამო; ვერ ეგუებოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართველ პედაგოგთა სიმცირეს; იაკობს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა ეს. მისი ღრმა რწმენით მასწავლებელი სასწავლო-

აღმზრდელობითი პროცესის მოთავარი ფიგურაა, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროგრამული მასალის შესწავლის ხარისხი. ის ფიქრობდა, რომ მასწავლებელი, რომელიც ხალხის ნდობას იმსახურებს თავისი განათლებით, ცოდნითა და ზნეობით, აუცილებლად უნდა დაეხმაროთ სამუშაო ადგილზე და ყოველად დაუშვებელია საყვარელი საქმისაგან მისი მოწყვეტა. მასწავლებელზე იაკობის შეხედულებების საფუძვლიანი განხილვის შედეგად ვრწმუნდებით, რატომ უწოდებდა მას „ერის დედაბოძს“.

მასწავლებლის პროფესიასა და მის დანიშნულებაზე ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები დღესაც საყურადღებო და ანგარიშგასაწევია.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვიოლი ი., თხზ., ტ.4, თბ., 1965.
2. გაგუა ვ.ლ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.
3. თავზიშვილი გ., თხზ., ტ. II. თბ., 1977.
4. ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი (კრებული ი. გოგებაშვილზე), თბ., 1982.
5. ქართული პედაგოგიკის ისტორია (რედაქტორი პროფ. გალაქტიონ სიხარულიძე), თბ., 1974.
6. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. III, თბ., 1926.
7. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი. პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1938.
8. ჯიბლაძე გ., ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის პრობლემები, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1978, №5.

საოჯახო აღზრდა – როგორც პრიორიტეტული მიმართულება ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ ნააზრევში

ქართველ სამოციანელთა შემოქმედებით მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მომავალი თაობის საოჯახო აღზრდის საკითხებს. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ოჯახი აღზრდის უპირველესი კერაა, ოჯახში ეყრება საფუძველი მაღალზნეობრივი თვისებებით აღზრდას. ილია ჭავჭავაძე უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა მშობლებს შვილების აღზრდაში, ამის გამო სათანადო დარიგებას აძლევდა მათ და ასე მიმართავდა: „საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა, და აი, სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არ ვმოქმედებთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ. პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოულობთ, ღვინო როცა გვაკლია – ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, - და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენო, ხელსაც არ გავძრავთ, თუნდაც მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულდაღმა ვიწვნეთ და ჭერში ბუზებსა ვსთვლიდეთ. გაზრდა შვილისა კი ისეთი მოვალეობაა, ყველაფერი ამას უნდა შეეწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველიე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფრო – ეროი დრო ამას უნდა შევახმაროთ“ (7,364-365).

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში სკოლამდელი დაწესებულებები არ არსებობდა, ცხადია, ოჯახს განსაკუთრებული აღმზრდელობითი ფუნქცია ეკისრებოდა, რადგან ბავშვები, ძირითადად, მშობლებთან, ოჯახურ გარემოში ატარებდნენ დროის დიდ ნაწილს. ამის გამო ილიას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „აღზრდა-განათლების საქმე ჩვენ ძირიდან უნდა გარდავქმნათ, ხოლო ეს ძირი კი არის ოჯახი და მშობელი. თუ ჩვენ გვსურს ბავშვის აღზრდის გარდაქმნა – უნდა დაეიწყოთ ოჯახის გარდაქმნით“ (4,205).

ილია მისეული სიბრძნით გვასწავლის, რომ თუ გვინდა ბავშვის წესიერად აღზრდა ოჯახ'ში, ამისათვის აუცილებელია შევქმნათ ნორმალური სააღმ'ზრდელო პირობები, მშობლებმა სათანადო განათლება უნდა შეიძინონ და აღზრდის ხელოვნებას დაეუფლონ. ილია მშობლებს მოუწოდებდა ცოდნა შეეძინათ, რადგან, მისი აზრით, განათლებული დედა უფრო ადვილად გაართმევდა თავს შვილის აღზრდის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. ამასთან დაკავშირებით, დიდი მამული'შვილი აღნიშნავდა: „დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას და უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება“ (8,347).

ილია ჭავჭავაძე აღზრდაში მშობლის მაგალითს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით მშობლები ყველაფერში მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ, ის მათ შთააგონებდა „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოვება არ არის“ (8,342). ილიას მიაჩნდა, რომ მშობელი საქმით უნდა იყოს მაგალითის

მიმცემი. ამის საუკეთესო მაგალითად მოჰყავს ოთარაანთ ქვრივი,რომელიც მისი ერთადერთი შვილის – გიორგისათვის ყველაფერში საქმით, ქცევით იყო მაგალითის მიმცემი. ილიას აზრით, მშობლის სიტყვა და საქმე ერთიანი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამაგალითო ვერ გახდება შვილისათვის და ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს მის თვალში.

როგორც ცნობილია, მშობლებთან ერთად მოზარდზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ოჯახის სხვა წევრებიც, ეს გარემოება აუცილებლად მხედველობაშია მისაღები. როგორც უშუალოდ მშობლებისაგან, ისე ოჯახის სხვა წევრებისაგან მოზარდმა შეიძლება შეითვისოს მაღალზნეობრივი თუ ნეგატიური თვისებები. ამასთან დაკავშირებით ილია მიუთითებდა: „ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც, წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ სახით, არავითარი ეჭვია, რომ თვითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზემოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ“ (7,292).

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ ნააზრევში ფრიად საყურადღებო და დღევანდელობისათვის ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს ვხვდებით ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის აუცილებლობის შესახებ. იგი საგანგებოდ სწორად მიუთითებდა, რომ ოჯახმა სკოლასთან ერთობლივი მუშაობით უნდა გადაჭრას ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის პრობლემები. თუმცა, საოჯახო გარემოს, მშობლებს შეუცველი ადგილი აქვს მომავალი თაობის აღზრდაში. ილიას აზრით, მშობლები დიდი პასუხისმგებლობით უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. შვილებს „თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედმამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები კი ჯერ შვილისა

და მერე ქვეყნის ცოდვაში, - აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან“ (5,365). დიდი მამულიშვილი სკოლასთან ერთად საზოგადოებასაც აკისრებს მნიშვნელოვან როლს მომავალი თაობის აღზრდაში. ილია ჭავჭავაძე თავის შესანიშნავ მოთხრობაში – „სარჩობელაზედ“ კოლას შესახებ წერს: „ვინ იცის, ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი. სხვა საზოგადოებაში და სხვარიგ შინაურ აღზრდაში“ (8,414).

ილია ჭავჭავაძესთან ერთად სულმნათი იაკობ გოგებაშვილიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საოჯახო აღზრდის პრობლემებს. დიდმა იაკობმა კარგად იცოდა, რომ ქართველი ხალხის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა შთამომავლობაზე ზრუნვა. ოჯახში შვილების აღზრდა, - ამბობდა ი.გოგებაშვილი, „დედების ტრადიციული მოვალეობაა, იგი რთული შემოქმედებითი პროცესია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულად უნდა ვიმოქმედოთ; რაც ერთს არგებს, სავსებით შესაძლებელია, მეორეს ზიანი მოუტანოს, ამიტომ ფრიად მიზანშეწონილია სხვა ოჯახის სპეციალმზრდელო გამოცდილება, თუნდაც მოხიბლული ვიყოთ მისი დადებითი შედეგებით, ყოველთვის სიფრთხილით, პედაგოგიური ცოდნით, საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით დავნერგოთ ჩვენს სააღმზრდელო პრაქტიკაში. ამიტომ, ბუნებრივია, აღზრდის შედეგები არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ოჯახი, როგორც სააღმზრდელო გარემო, რამდენად არის მომზადებული სოციალურ-მორალურად და პედაგოგიურად მშობელი შვილის აღზრდისათვის, როგორია მისი აღზრდის იდეალური პოზიცია, მისი პედაგოგიური კულტურა, რამდენად კარგად და ოსტატურად ფლობს იგი აღზრდის ხელოვნებას“. ამიტომაც აღნიშნავდა იგი, რომ „მამულიშ-

ვილნი თავისთავად როდი ჩნდებიან, ჩვენებით როდი იბადებიან, იმათ დანერგვა უნდა შესაბამის ნიადაგზედ, ეჭირვებათ გამოზრდა, დამთავრება, განმტკიცება“ (3,160). იაკობ გოგებაშვილის აზრით, ჭეშმარიტი აღზრდა-განათლების მიზანია მაღალი ზნეობრივი თვისებების მატარებელი პიროვნების „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა. ასეთი ტიპის ქართველის აღზრდა, ამბობდა იგი, უნდა დავიწყოთ ოჯახის საერთო კულტურის ამაღლებით, რადგან განათლებული ოჯახი უფრო ადვილად ართმევს თავს ამ საქმესო. საოჯახო აღზრდაში წარმატების მისაღწევად მას აუცილებლად მიაჩნდა მშობლების შეგნებაში შვილების კარგად აღზრდის გაცნობიერება და ამაში იგი დიდ როლს ანიჭებდა მათთვის წარსულის მემკვიდრეობის გაცნობას.

დიდი იაკობი თავის სახელმძღვანელოებში ათავსებდა ისეთ მოთხრობებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჭეშმარიტი ქართველების აღზრდისათვის, ქართველ ოჯახებს ამ ნაწარმოების მთავარი გმირების მაგალითზე უნდა აღეზარდათ თავიანთი შვილები.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც დიდი მამულიშვილი, სხვა ზნეობრივ თვისებებთან ერთად, პატრიოტული გრძნობის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ოჯახს. იაკობის აზრით, პატრიოტული გრძნობა ადამიანს პირველად ოჯახმა უნდა შთაუნერგოს. სწორედ ამიტომ, დიდ მოძღვარს თავის „ბუნების კარში“ შეტანილი აქვს ისტორიული მოთხრობები, რომლებიც მოზარდ თაობას უნერგავდა თავისი ქვეყნის უდიდეს სიყვარულს.

იაკობ გოგებაშვილი ოჯახის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თელის ბავშვთა ზნეობრივ აღზრდას. მისი აზრით, ბავშვობაში შეთვისებული კეთილი თესლი დიდობაში სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ზნესრული ადამიანის ჩამოყალიბებაში იმას, თუ

ბავშვობაში როგორ წიგნებს დაეწაფება აღსაზრდელი და რას შეითვისებს იქიდან. სწორედ ამის შესახებ მიუთითებს იგი მშობლებსა და მასწაელებლებს: „გონების ძალა და მიმართულება, კაცური გრძნობის და ლტოლვილობის გახსნა ბევრად დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ გაატარებს სიპატარავის დროს ბავშვი, თუ როგორ ვარჯიშობაში იქნებიან გართულნი მისი ნიჭიერებანი, თუ რა შთაბეჭდილებანი დაიჭერენ ადგილს მის ჯერ კიდევ ცარიელ გონებაში და, თუ რა საგნებზედ იქნება მოქცეული მისი ყურადღება“ (2,1-2).

ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები საოჯახო აღზრდაზე დღესაც აქტუალურია, ქართული პედაგოგიკური მეცნიერებისათვის სახელმძღვანელო პრინციპებია და მათ მნიშვნელოვანი თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება აქვთ.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ე., დიდი იაკობი, თბ., 1991.
2. გოგებაშვილი ი., „სიტყვის კონა“, 1874.
3. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1990.
4. თავზიშვილი გ.,რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ.2, თბ., 1977.
5. ქართული პედაგოგიკის ისტორია (რედაქტორი პროფესორი გალაქტიონ სიხარულიძე) თბ., 1974.
6. ქაჯაია ვ., მარად ცოცხალი მემკვიდრეობა, თბ., 1990.
7. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955.
8. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1938.

გიორგი წერეთლის
პედაგოგიური შეხედულებები

გიორგი წერეთელი ქართველ სამოციანელთა ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი იყო ფრიად განსწავლული პიროვნება, რომელიც ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-ლიტერატურულ-პუბლიცისტურ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში გიორგი წერეთელს საპატიო ადგილი უჭირავს. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოში პედაგოგიური იდეებისა და საერთოდ პედაგოგიკის მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ილიას შემდეგ პირველმა გიორგი წერეთელმა შემოგვთავაზა პედაგოგიკის მეცნიერების დეფინიცია: „პედაგოგია ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ“, ეს მეცნიერება გვასწავლის იმას, თუ რა რიგად უნდა აღზრდა ყმაწვილს, ან რა თვისებების არის ყმაწვილის ნორჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოჰყრობა ყმაწვილს“ (2).

გიორგი წერეთელი განსაკუთრებით აფასებდა მასწავლებლის პროფესიას. ამ პროფესიის ავ-კარგიანობა საკუთარ თავზე გამოსცადა, რადგან 1863 წლიდან 1873 წლამდე იმუშავა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, თბილისის რეალაურ სასწავლებელსა და ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტში. გ.წერეთელმა კარგად იცოდა მასწავლებლის შრომის ფასი, მისი დუხჭირი ცხოვრება, რის გამოც დღენიადაგ ზრუნავდა პედაგოგთა უფლებების გაზრდისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

გიორგი წერეთელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე ქართული ენა ჩაუბარებია და ამის საფუძველზე მიუღია ამ საგნის

მასწავლებლობის უფლება. უნივერსიტეტში მიღებული მოწმობის საფუძველზე იგი დაინიშნა თბილისის რეალური გიმნაზიისა და ქალთა ინსტიტუტის ქართული ენის მასწავლებლად.

გიორგი წერეთელი ბევრ პრობლემას ხედავდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. აღზრდისა და განათლების პრობლემის ჭეშმარიტად მეცნიერული გადაწყვეტა მას დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა. მან იმ დროისათვის მეტად მტკივნეულ პრობლემაზე – მომავალი თაობის ბედ-იღბალზე მრავალი პედაგოგიური ხასიათის წერილი გამოაქვეყნა „დროებაში“, „კვალში“, „სასოფლო გაზეთში“, „ჯეჯილში“ და ყართო საზოგადოებისათვის მსჯელობის საგანი გახადა ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების საკითხები.

გიორგი წერეთლის პედაგოგიური შეხედულებებიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია: 1. აღზრდა ოჯახში და 2. აღზრდა, განათლება და სწავლება სკოლაში. მისი აზრით, ოჯახი და სკოლა ერთმანეთს უნდა ავსებდეს მომავალი თაობის აღზრდაში; ერთობლივად უნდა წყვეტდეს მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის პრობლემებს. აღსანიშნავია ის, რომ გ.წერეთელი ოჯახს გადამწყვეტ ფუნქციას აკისრებდა ბავშვთა და მოზარდთა აღზრდაში, ოჯახი აღზრდის უპირველეს კერად მიაჩნდა და ამიტომ მშობლებს ასე მიმართავდა: „ყოველი ახალგაზრდა ჩვენში სრულებით თავმინებებულია და იზრდება უყურადღებობით, ჩვენის უმეცრების გამო ისინი მრავალ უკეთურ მაგალითს ხედავენ ჩვენს ცხოვრებაში, შეითვისებენ ყოველს უმსგავსო ნაკლულოვანებას და შემდეგ ამ ცუდს და საწყისზედ განიგრძობა მათი ზნეობიეი დასრულება. მაშ, ჩვენი უვარგისობის მიზეზი არის ჩვენი შინაური და გარეგანი აღზრდა, სიყმაწვილეში არ გვეძლევა არავითარი გონიერი მაგალითი და ამის გამო სივაუკაცეს ფუჭად ვატარებთ ჩვენს ცხოვრებაში“ (5.65).

იმის გამო, რომ გ.წერეთელს პროგრესული შეხედულებები ჰქონდა მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრობლემებზე, იმდროინდელი ცენზურა ხშირად არ ბეჭდავდა მის წერილებს, მაგრამ ის მაინც ახერხებდა მოწინავე, პროგრესული პედაგოგიური შეხედულებების გავრცელებას.

გიორგი წერეთელი საოჯახო აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ოჯახთან ერთად ყურადღებას ამახვილებს აღზრდაში გარემოს როლზე. მისი აზრით, ბავშვისა და მოზარდის აღზრდა-განვითარებაში, ზნე-ხასიათის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: 1. საერთო გარემოს, 2. ოჯახურ აღზრდასა და 3. სკოლას. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავდა, რომ ამ სამმა ფაქტორმა ერთიანობაში უნდა შექმნას საყუძველი იმისა, რომ აღიზარდოს წესიერი, ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება. როგორც აღვნიშნეთ, გ.წერეთელი აღზრდაში ოჯახს აძლევს უპირატესობას, რის გამოც მართებულად აღნიშნავდა: „ყმაწვილი თავის ცხოერებაში მარტო დედ-მამის გავლენის ქვეშ არ იმყოფება, ის ბევრს სხვანაირს გარემოებასაც გამოსცდის ხოლმე თავის ყმაწვილობაში; მაგრამ ყმაწვილი თუ თავიდანვე დედმამისაგან ცუდად არის გაზრდილი, თუნდ ათნაირ შკოლაშიაც რომ გაიზარდოს და შემდეგ კარგს უნივერსიტეტშიც რომ სწავლა დაასრულოს, იმის ზნეს მაინც არ ეშველება“ (5,232).

გ.წერეთელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელის ფართოდ გავრცელებისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა, რადგან თელიდა, რომ საბავშვო ბაღები მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა მშობლებს შვილების აღზრდაში.

როგორც სხვა ქართველი სამოციანელები, გ.წერეთელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-

განათლებას, ცოდნას ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული წინსვლისათვის. დიდი მამულიშვილი განათლებულ მომავალ თაობას სასოებით შეჰყურებდა, მაოზე ამყარებდა იმედს და ამასთან დაკავშირებით წერდა: „რამდენადაც უფრო გონებით გახსნილია კაცი, იმდენად იმის შრომას მომეტებული ნაყოფი მოაქვს. ამისათვის პირველი და უკანასკნელი ყურადღება ჩვენს ახალგაზრდობის ზრდაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ შემდეგს დროს მოუმზადოთ გონიერებით დახელოვნებულნი მშრომელი შთამომავლობა. აქ ჩვენ უნდა მოვუწოდოთ საქართველოს დედათა, იმიტომ რომ თავდაპირველი წრე ჩვენის საზოგადოებისა იმათ ხელშია. იმათ უნდა მისცენ ბეჯითი საფუძველი საქართველოს მომავალს ყმაწვილს კაცობას“ (1). დიდი ილია ჭავჭავაძის მსგავსად, გ. წერეთელსაც ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად სწავლა-განათლება მიაჩნდა. უსწავლელობისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იგი ასე გამოხატავდა: „ჭკუა-გონების გაუხსნელობამ და შრომის უცოდინარობამ, აი იმ უძლურობაში ჩაგვაგდო.... უნდა ვიფიქროთ მომავლისათვის და ამ შემთხვევაში რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? – ახალგაზრდობის აღზრდას ისე, რომ მან შეიძლოს თავის დროში თავისი დონით ცხოვრება და მოჯამაგირეობა სანატრელი არ ჰქონდეს, ამისათვის ის უნდა გავანათლოთ, გონება გაუხსნათ“ (2).

გიორგი წერეთელი – მწერალი და პედაგოგი ახალგაზრდობას მომავლის იმედს უწოდებდა. გული შესტკიოდა იმაზე, რომ ახალგაზრდობას აღზრდისა და განათლების ნორმალური პირობები არ ჰქონდა. ევროპის ქვეყნებში სწავლა-განათლებასა და აღზრდას დიდ სიკეთედ მიიჩნევდა. მის მშობლიურ საქართველოში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. გ. წერეთელი ამას გულწრფელად განიც-

დიდა, წუხდა ქართველი ახალგაზრდობის უცოდინრობაზე და იმაზე, რომ ქართველები ნაკლებად ეტანებოდნენ სკოლებსა და სასწავლებლებს; ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი გულგრილობას იჩენდა ცოდნის შეძენის, სწავლა-განათლების მიმართ, რადგან სწორად ვერ აფასებდა განათლების მნიშვნელობას, მის სიკეთესა და საჭიროებას.

გიორგი წერეთელს ახარებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სკოლების გახსნა. ამ ფაქტს მიესალმებოდა, დადებითად აფასებდა და აღნიშნავდა: „ერმა და საზოგადოებამ იგრძნო საჭიროება ისეთის შკოლების დაარსებისა, რომლებითაც შეიძლება სახელოსნო და სამეურნეო სწავლის შეძენა“ (4), მისი აზრით, ყველა ტიპის სკოლის გახსნა სარგებლობას მოუტანდა ქართველ ხალხს. გ.წერეთელი მკაცრად აკრიტიკებდა სწავლების დრომოჭმულ მეთოდებსა და პრინციპებს, სკოლაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. მან მხატვრულ ნაწარმოებებში მკაცრად ამხილა გიმნაზიებში არსებული მდგომარეობა. მწერალმა საზოგადოებას ნათლად დაანახა, რომ უვარგის სკოლებს სარგებლობის ნაცვლად ზიანი შეიძლებოდა მოეტანა და ასეთ სკოლებში ბავშვის სული მახინჯდებოდა, ჩლუნგდებოდა გონება.

გიორგი წერეთელი მასწავლებელს მაღალ შეფასებას აძლევდა, მაგრამ, იმდროინდელი სკოლის მასწავლებელთა დიდ ნაწილს გონებადახშულ ჩინოვნიკებს უწოდებდა. მათდამი დამოკიდებულებას ასე გამოხატავდა: ისინი ასწავლიდნენ ყმაწვილებს, მაგრამ ჭკუა-გონების გახსნის მაგივრათ ჭკუა-გონებას უხშობდნენ შეუფერებელი სწავლებითა... მაშასადამე, მარტო შკოლების დაფუძნება და მასწავლებლის მიჩენა არ ყოფილა საკმაო განათლებისათვის. უფრო საჭირო ის ყოფილა, რომ მასწავლებლებს უნდა შეეტყო ყმაწვილის ბუნება და იმ რიგით უნდა მოპყრო-

ბოდა, რომ მისი ჭკუა-გონება თანდათან ეყარჯიშებინა“ (3).

გიორგი წერეთელი სხვა ქართველ სამოციანელებთან ერთად აქტიურად იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის. მის პედაგოგიურ ნააზრევში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აღმზრდელობითი სწავლების იდეასა და ქალთა განათლების საკითხებს.

გიორგი წერეთლის პედაგოგიური იდეები, აზრები და მისწრაფებები მაღალზნეობრივი ეროვნული იდეალებით არის გამსჭვალული. მისი პედაგოგიური შეხედულებები დღესაც აქტუალურია თანამედროვე პედაგოგიკის მეცნიერებისათვის.

ლიტერატურა:

1. „დროება“, 1868, №19.
2. „დროება“, 1868, №20.
3. „დროება“, 1868, №6.
4. „დროება“, 1893, №1.
5. წერეთელი გ., თხზულებათა სრული კრებული, ტ.1, 1930.

ნიკო ცხვედაძის
ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა

ნიკო ცხვედაძე განეკუთვნება იმ შესანიშნავ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პლეადას, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დიდი ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის კოლონიური, დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართველ სამოციანელებს, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, „თერგდალეულებს", ისტორიამ ბედად არგუნა გაძღოლოდნენ ქართველი ერის ბრძოლას დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ეროვნული ეკონომიკის, კულტურისა და ყოფის აღორძინების საქმეს. ქართველ სამოციანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული ისტორიული მისია, რისთვისაც ყველაფერი გააკეთეს, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა.

ნიკო ცხვედაძესა და მის ძმებს მშობლებმა ჩაუნერგეს ერის ისტორიისა და ლიტერატურისადმი დიდი სიყვარული, წიგნის კითხვის ინტერესი, განათლებისადმი მისწრაფება. აღსანიშნავია ისიც, რომ წერა-კითხვა და პირველდაწყებითი განათლება ნიკო ცხვედაძემ თავის ოჯახში მიიღო, მშობლების, განსაკუთრებით კი დედის ხელმძღვანელობით.

ბავშვობის პერიოდი ნიკო ცხვედაძემ თავის ძმებთან ერთად სოფელში, ჯერ სოჭინში, ხოლო შემდეგ სოფელ კავთისხევში გაატარა. სოფელში გატარებულმა წლებმა საშუალება მისცა მას კარგად გასცნობოდა მშრომელი ქართველი გლეხობის ცხოვრებას, მის სატკივარსა და გაჭირვებას, მის ყოველდღიურ ყოფას და სოციალურ გულისთქმას. ყოველივე ამან კი მოამზადა გარკვეულწილად ნიკო ცხვედაძის მომავალი, საზოგადოებრივი მოღვაწეობის

პროგრამის შინაარსი და მიმართულება.

ცხრა წლის ასაკში ნიკო ცხვედაძე სასწავლებლად მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში. მის მშობლებს, რომლებიც ღარიბად ცხოვრობდნენ, ძალზე უჭირდათ მისი შენახვის ხარჯები, მაგრამ ყველაფერს იკლებდნენ, რათა შვილისათვის განათლება მიეცათ.

ნიკო ცხვედაძე სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში მთელი გატაცებით კითხულობდა როგორც მხატერულ, ისე სამეცნიერო ლიტერატურას. სწორედ ამ პერიოდში ნიკო ცხვედაძემ გაიცნო და დაუმეგობრდა ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილს, რომელთანაც ახლო იდეური და სულიერი ურთიერთობა ჰქონდა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. ისიც უნდა ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილმა გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა ნიკო ცხვედაძის როგორც პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და განათლების ფორმირებაზე, მისი მომავალი ცხოვრების მიზნის განსაზღვრაში. იაკობ გოგებაშვილი, როგორც წლოვანებით უფროსი მეგობარი, რჩევა-დარიგებებს აძლევდა ნიკო ცხვედაძეს, უხსნიდა იმ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამოცანებს, რომელთა ¯გადაჭრისათვისაც უნდა ებრძოლა ქართველ ერს, მის ხელმძღვანელს-ეროვნულ ინტელიგენციას, ერის ინტელექტუალურ ძალებს. იგონებს რა სასულიერო სასწავლებელში სწავლების პერიოდს, განსაკუთრებით კი იაკობ გოგებაშვილთან ურთიერთობას, ნიკო ცხვედაძის ბავშვობის მეგობარი, გიორგი იოსელიანი თავის დროზე წერდა: „მე და ნიკო ცხვედაძემ მალე გავიცანით იაკობი. ხშირად დავდიოდით მასთან, დარიგებას გვაძლევდა და სხვადასხვა წიგნები მიგვქონდა მისგან საკითხავად“ (12,261). ასე რომ, იაკობ გოგებაშვილმა, ფაქტიურად გადამწყვეტი როლი ითამაშა ნიკო ცხვედაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მისი მსოფლგაგების ფორმირებაში.

ნიკო ცხვედაძე ოერთმეტი წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა, რის გამოც შვილების აღზრდის მთელი ტვირთი დედას-მარიამს დააწვა მხრებზე. სასულიერო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ნიკო ცხვედაძე ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც ასევე დიდი წარმატებით დაამთავრა, რის გამოც იგი თავის მეგობარ გიორგი იოსელიანთან ერთად სახელმწიფო ხარჯით სასწავლებლად გაიგზავნა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც დაჰყო ოთხი წელი (1865-1869).

ნიკო ცხვედაძეს დიდი სურვილი ჰქონდა სწავლა განეგრძო რუსეთის რომელიმე ცნობილ, პრესტიჟულ უნივერსიტეტში, იმ უნივერსიტეტში, სადაც თავმოყრილი იყო საუკეთესო პროფესურა რუსეთისა, მაგრამ მატერიალურმა სიდუხჭირემ მას ამის საშუალება არ მისცა, რის გამოც დათანხმდა ესწავლა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.

მოსკოვში ყოფნისა და სწავლის პერიოდი — ეს იყო ნიკო ცხვედაძისათვის უაღრესად დაძაბული ინტელექტუალური შრომის პერიოდი. ნიკო ცხვედაძეს დაუოკებელი მისწრაფება ჰქონდა ცოდნის სხვადასხვა დარგების მიმართ, რის გამოც იგი სასულიერო აკადემიაში სწავლასთან ერთად თითქმის განუწყვეტლივ ესწრებოდა ცნობილი პროფესორების ლექციებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მთელი გატაცებით კითხულობდა ევროპისა და რუსეთის გამოჩენილ მეცნიერთა და მოაზროვნეთა წიგნებს, რომლებსაც იგი საფუძვლიანად სწავლობდა. თავისი ნიჭისა და იშვიათი შრომის უნარის მეოხებით ნიკო ცხვედაძემ მალე მიიპყრო პროფესურის ყურადღება. ამ გარემოების გამო ალ. მიქაბერიძე ნიკო ცხვედაძისადმი მიძღვნილ წერილში წერდა: „უმაღლეს სასწავლებელში თავისი ჩვეულებრივი მხნეობით დაეწაფა მეცნიერებათა შეთვისებას და სულ მოკლე ხანში შრომის

მოყვარულობით და ნიჭით მიიქცია პროფესორების ყურადღება“ (17,49).

მოსკოვში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე ნიკო ცხვედაძემ გაიცნო ქართველი მოწინავე სტუდენტობა, შემოიკრიბა ისინი თავის გარშემო და ხშირად გამოდიოდა მათ წინაშე მოხსენებით საქართველოსა და ქართველი ერის საჭირბოროტო საკითხებ'ზე.

ნიკო ცხვედაძემ ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს მიიღო გადაწყვეტილება- მთელი თავისი ცხოვრება მოეხმარებინა მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების კეთილ'შობილ'ური საქმისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში ნიკო ცხვედაძე'ზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა.

ნიკო ცხვედაძემ მოსკოვში სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა იმით, რომ 1870 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია. მოიპოვა ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და სამშობლო'ში ღრმა ცოდნა-განათლებითა და მოქმედების პროგრამით შეიარაღებული დაბრუნდა. მასთან ერთად დაბრუნდა მისი მეგობარი გ. იოსელიანი. იმავე 1870 წლიდან ნიკო ცხვედაძის ცხოვრებაში იწყება ახალი-კერძოდ პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების ეტაპი. ნიკო ცხვედაძე თავის განუყრელ მეგობარ გ. იოსელიანთან ერთად იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სასულიერო სემინარიაში. ბედმა ინება და ახალგაზრდა პედაგოგს, ნიკო ცხვედაძეს პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყება მოუხდა იმ სასწავლებელ'ში, სადაც მისი უფროსი მეგობარი და სულიერი მოძღვარი იაკობ გოგებაშვილი და სახელოვანი პლეადა ქართველი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეებისა: ს. მესხი. გ.წერეთელი და სხვები დახვდნენ. ასევე შეიკრა ერთიანი

მტკიცე წრე სახელოვანი მამულიშვილებისა, რომლებიც დარაზმული იყვნენ იაკობ გოგებაშვილის გარშემო და მთელი ძალისხმევა მიმართული ჰქონდათ იქითკენ, რომ ძირფესვიანად გარდაექმნათ სემინარიაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, მოწინავე ევროპული და რუსული პედაგოგიკური აზროვნების ზოგადსაკაცობრიო პრინციპებზე დაყრდნობით. ასეთი გარდაქმნების შესაძლებლობა რეალურად შეიქმნა ამ სასწავლებელში მას მერე, რაც იქ თავი მოიყარეს გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგებმა. მანამდე კი სემინარიაში იაკობ გოგებაშვილი მარტოდმარტო იყო. ამ გარემოების შესახებ ცნობილი ქართველი მწერალი ნ. ლომოური მოგვიანებით წერდა, რომ იაკობ გოგებაშვილი 1870 წლამდე „მარტოდ-მარტო მოღვაწეობდა, მოხსენებულ წელს კი მოსკოვის სასულიერო აკადემიიდან სამშობლო ქვეყანაში დაბრუნდნენ ახალგაზრდა ქართველები, დიდად ნაკითხნი, გულწრფელი მამულისშვილები, საქვეყნო მოღვაწეობის სურვილით აღფრთოვანებულნი, ჩინებულნი პედაგოგები, საუცხოო ადამიანები... ესენი იყვნენ... ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი“ (არბოელი – ნ. ლომოური) (1,16). მეორე საყურადღებო დოკუმენტია ჩვენთვის იგივე ნიკო ლომოურის პირადი წერილი ივანე გომელაურისადმი, რომელშიც ეხებოდა რა სასულიერო სემინარიის მოწაფეობის პერიოდს, დიდი აღფრთოვანებით წერდა: „ამ დროს აქ მოღვაწეობდნენ იაკობ გოგებაშვილი, ნ.ცხვედაძე, გ.იოსელიანი. ეს პატივცემულნი პირნი თავიანთის ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებით, მიმართულებით ძლიერ გაელენას ახდენდნენ მაშინდელ სემინარიელებზე, უძღვებოდნენ მეცნიერებათა შესწავლას, სხვადასხვა წიგნების კითხვას“ (1,4).

აღტაცებას გამოხატავდა თავის დროზე ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფ.

მგალობლიშვილი, რომელიც თავის მემუარულ წიგნში, მოგონებებში, წერდა: „ამათი მოსელიდან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, საგნებს ასწავლიდნენ კარგად, შეგირდებს ადამიანურად ეპყრობოდნენ, გეაძლევდნენ საკითხავ წიგნებს, გეაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას, მით უმეტეს, რომ ლიტერატურაში ყველა ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ“ (17,47).

ნიკო ცხვედაძე მთელი არსებით ჩაება პედაგოგიურ მოღვაწეობაში. იგი გაეცნო ევროპის მოწინავე ქვეყნების სასკოლო განათლების პრობლემებს, შეისწავლა და შეისისხლხორცა ევროპისა და რუსეთის მოწინავე, პროგრესული პედაგოგიკური აზროვნება და თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების საფუძვლები, რაც მას ეხმარებოდა ამ ცოდნის შემოქმედებითი გამოყენებით, წარმატებით გადაეჭრა აღზრდა-განათლებისა და სწავლების ახლებურად წარმართვის საქმე. უპირველესი, უმთავრესი მიზანი ნ. ცხვედაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაში მოსწავლეთა მიმართ დამოკიდებულების ძირეული შეცვლა იყო. ცნობილია,რომ ამ დროის სკოლებში სუფევდა პიროვნების დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი აუტანელი ატმოსფერო,ამიტომაც იაკობ გოგებაშვილმა,ნიკო ცხვედაძემ,გიორგი იოსელიანმა და მათმა თანამოაზრეებმა უპირველეს ამოცანად დაისახეს სწავლებისა და აღზრდის მთელი პროცესის ჰუმანიზაცია და დემოკრატიზაცია. მოსწავლე-ახალგაზრდობის ღრმა პატივისცემა, მისი ადამიანური ღირსებისადმი სათუთი დამოკიდებულება, ფიზიკური და მორალური დასჯის გაბატონებული მახინჯი და ბარბაროსული მეთოდების უარყოფა და მისი კატეგორიულად აკრძალვა-აი ის ღონისძიებანი, რის პრაქტიკულ განხორციელებასაც შეუდგა ნიკო ცხვედაძე თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე. ნიკო ცხვედაძე მოსწავლეთათვის უბრალოდ მასწავლებელი

კი არ იყო,არამედ იგი წარმოადგენდა მათ უფროს მეგობარს, სულიერ მოძღვარს, ჭკუის დამრიგებელსა და მისაბაძ, ქართველ,ჭეშმარიტ მამულიშვილს. პირად ურთიერთობაში ნიკო ცხვედაძე, როგორც მისი თანამედროვე ახლობელი ადამიანები, თანამოაზრენი მოგვითხრობენ, იყო უზომოდ გულისხმიერი,კაცთმოყვარე და კორექტული,პირდაპირი და პრინციპული, მრისხანეც და მიმტევებელიც, სიმართლის მოყვარული და სიმართლისათვის მებრძოლი ადამიანი. ყოველივე ამ თვისების გამო, წარმოუდგენლად მოკლე დროში, ნიკო ცხვედაძემ მოსწაელე-ახალგაზრდობის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ახასიათებდა რა ნიკო ცხვედაძეს, როგორც პედაგოგს, ალ. მიქაბერიძე წერდა: „ახალგაზრდა მასწავლებელმა, ზედმიწევნით ღრმად მცოდნემ მოზარდი თაობის ფსიქოლოგიისა, სასწავლებელ'ში ფეხის შედგმისთანავე დაიმსახურა ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემა მოსწაელე-ახალგაზრდობისა. განსაკუთრებული მამობრივი მზრუნველობით უნერგავდა გულში მოსწაელე-ახალგაზრდობას ჭეშმარიტებისადმი სიყვარულს და სათნოებას და კიდეც ეს იყო მიზეზი მოსწაელე ახალგაზრდობის მისადმი ასე განუსაზღერელი სიყვარულისა (17,49).

ნიკო ცხვედაძე დღენიადაგ ზრუნავდა იმისათვის, რათა მოსწაელე-ახალგაზრდობაში გაეერცელებინათ მეცნიერული ცოდნა, შეეტანათ მათში მოწინავე იდეები და შეხედულებები. ამ მიზნით ი.გოგებაშვილმა და ნ. ცხვედაძემ შეადგინეს სია გამოჩენილი მეცნიერებისა და დაიწყეს მათი შრომების შემოტანა სასწავლებელ'ში, რათა ახალგაზრდობას შეესწავლა ისინი და გამოეყენებინათ შემდგომში საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში.

ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილსა და სხვა ქართველ პედაგოგებს შემოჰქონდათ სემინარიის მოსწალეთათვის ისეთი წიგნები, რომლებიც ოფიციოზის მიერ

აკრძალული იყო. სემინარიის ბიბლიოთეკაში გაჩნდა ისეთი ჟურნალები, როგორიც იყო: „სოერემენიკი“ და სხვა, მაგრამ ი.გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძისა და სხვა მოწინავე ქართველ პედაგოგთა მოღვაწეობა არ გამოპარვია რუსეთის უწმინდეს სინოდს, რომლის მესვეურებმა 1872 წელს შექმნეს სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა სასულიერო სემინარიაში ქართველ მოწინავე პედაგოგთა „საქმიანობა“, მათი „ანტისახელმწიფოებრივი სეპარატისტული მოღვაწეობა“, ამ კომისიას ხელმძღვანელობდა რეაქციონერი ბ. ზინჩენკო, რომელსაც დავალებული ჰქონდა სემინარიის მოწინავე პედაგოგებზე, მათ შორის ნიკო ცხვედაძეზეც, შეეგროვებინა მაკომპრომენტირებელი მასალები, რათა ისინი მკაცრად და სამაგალითოდ დაესაჯათ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ზინჩენკომ ვერ შეძლო დაემტკიცებინა ნიკო ცხვედაძისა და სხვების მიმართ არგუმენტირებული მასალების საფუძველზე მათი ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ფაქტები, მაგრამ ამ რევიზიის შემდეგ, 1872 წლიდან დაიწყო სემინარიიდან მოწინავე ქართველ მასწავლებელთა გაძევება. 1873 წლიდან სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის ახალი რევიზია დაიწყო. რევიზიას ხელმძღვანელობდა პირწავარდნილი შოვინისტი, ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი, პოლიციის ჯაშუში ვინმე კერსკი. ეს რევიზია იმ დროს ჩატარდა, როცა სასწავლებლის ინსპექტორი ი.გოგებაშვილი მძიმე სენით შეპყრობილი საწოლს იყო მიჯაჭვული.

გაქნილმა და გაიძვერა კერსკიმ, რომელმაც რევიზია წინასწარ მომზადებული, ცილისმწამებლური, შეთითხნილი და მონაგონი ბრალდებებით, თავისი რევიზიის შედეგების ბარათში ი.გოგებაშვილი გამოაცხადა ე.წ. „ქართული პარტიის“ მეთაურად, რომელიც სეპარატისტულ მოღვაწეობას ეწეოდა, ხოლო ნიკო ცხვედაძე, გ. იოსელიანი და

თ. ტურიაშვილი გამოცხდებული იყვნენ თანამოაზრეებად და თანამებრძოლებად.

იმისათვის, რომ გამოეკვეთა ნიკო ცხვედაძის, გ. იოსელიანისა და თ. ტურიაშვილის თანამოაზრეობა და თანამებრძოლობა ი. გოგებაშვილთან, და დაემძიმებინა მათი დანაშაული რუსეთის იმპერიის წინაშე, კერსკი თავის მოხსენებით ბარათში მიუთითებდა, რომ „ყველა ზემოხსენებული პირი (ე.ი. ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი. თ. ტურიაშვილი), თავის წარმოშობით, ენით, ზნე-ჩვეულებითა და ეროვნული თვისებებით ქართველია“ (35,233).

როგორც ვხედავთ, რევიზორ კერსკისათვის, რომელიც გათავისუფლებული იყო ყოველივე იმისაგან, რასაც ზნეობრიობას ვუწოდებთ, ქართველობა, ქართული ენა, ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, რითაც გამოირჩევა ქართველი სხვა ერისაგან, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენი სახელოვანი წინაპრები რუსეთის ცარიზმისათვის საშიშ და, მაშასადამე, მიუღებელ ადამიანებად გამოეცხადებინა. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა რევიზორში, სასწავლებელში ქართული, ეროვნული სულისკვეთების, ეროვნული შეგნების აღორძინება. ბრძოლა ქართული ენისათვის, მისთვის კანონიერი ადგილის დამკვიდრებისათვის, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსებისათვის და, საერთოდ, სემინარიაში მთელი სასწავლო - სააღმზრდელო მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ნ. ცხვედაძემ და სხვა ქართველმა პედაგოგებმა დაამუშავეს და შექმნეს სემინაარის რეფორმების ორი პროექტი, რომელიც იოვალისწინებდა სასწავლებელში საქართველოს ისტორიის, ქართული ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო ლიტერატურის ისტორიის სწავლების შემოღებას. ყოველივე ამან გამოიწვია სწორედ ცარიზმის ჩინოვნიკების განრისხება და უკიდურესი აღშფოთება.

კერსკის რევიზიის შემდეგ, 1874 წელს, ი.გოგებაშვილი

არა მარტო გამოდევნეს სემინარიიდან, როგორც პოლიტიკურად საშიში პიროვნება, არამედ საერთოდ აუკრძალეს პედაგოგიური მოღვაწეობა. რაც შეეხება ნიკო ცხვედაძეს, იგი, ისევე როგორც გ.იოსელიანი და თ. ტურიაშვილი, დაითხოვეს სასულიერო სემინარიიდან და დროებით აეკრძალათ პედაგოგობა.

სემინარიიდან გაძევების შემდეგ ნიკო ცხვედაძე იძულებული იყო ერთხანს კერძო გაკვეთილები აეღო, რათა საარსებო საშუალებების მინიმუმი მაინც ჰქონოდა. ამავე დროს მას დროებით მიეცა საშუალება, ემასწავლებლა თბილისის სამიწათმოქმედო სკოლაში. 1874 წელსვე ნიკო ცხვედაძე სამუშაოდ მიიწვია ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტის ინსპექტორმა, ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ბესარიონ ღოღობერიძემ, რისთვისაც ამ უკანასკნელს სიძნელეების გადალახვა მოუხდა განათლების მესვეურებთან და რუსეთის სასულიერო უწყების ხელმძღვანელებთან.

ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტში ნიკო ცხვედაძე ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიასა და პედაგოგიკას. პარალელურად იგი მუშაობდა თბილისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაშიც, სადაც ასწავლიდა ზემოთ დასახელებულ საგნებს. ამ სასწავლებლებში ნიკო ცხვედაძეს მოუხდა მუშაობა 1874 წლიდან 1897 წლამდე. ამ წელს გავიდა ნიკო ცხვედაძე პენსიაში და დაამთავრა თავისი პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობა.

ნიკო ცხვედაძე ჩვეული შემართებითა და დიდი მონდომებით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქალებო ინსტიტუტში და წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში თავის განუყრელ მეგობარ გ. იოსელიანთან და სხვა მოწინავე პედაგოგებთან ერთად. მან უპირველეს მიზნად დაისახა ჭეშმარიტი ცოდნით შეეიარაღებინა ქართველ ქალთა მომავალი თაობა, მოემზადებინა ისინი რეალური ცხოვრებისათვის.

ნიკო ცხვედაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაში ერთერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა 1878 წელი, როცა მან იმოგზაურა ევროპაში, კერძოდ პოლონეთში, ავსტრიასა და გერმანიაში. ამ მოგზაურობის მიზანს წარმოადგენდა ევროპის ქვეყნების განათლების სისტემის, სკოლის, აღზრდა-განათლებისა და სწავლების გაცნობა და შესწავლა, რათა ევროპის მოწინავე გამოცდილება გამოეყენებინა საქართველოში, ადგილობრივი რეალური, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ ნიკო ცხვედაძის მოგზაურობა ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან საფუძვლიანად შეისწავლა ევროპის სკოლების გამოცდილება, გაეცნო სწავლების მოწინავე პრინციპებსა და მეთოდებს. ევროპული შთაბეჭდილებანი ნიკო ცხვედაძემ ასახა თავის წერილებში „მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან“, რომელიც „ივერიის“ 1878 წლის რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა. აღნიშნული წერილები უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ მათი ავტორი ევროპული პედაგოგიკური თეორიისა და პედაგოგიკის ისტორიის შესანიშნავი მცოდნე იყო. აღნიშნული წერილები საუსებით ცხადყოფენ, რომ ამ პერიოდში ცხვედაძე საუსებით მომწიფებული თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მასწავლებელი იყო, ხოლო მისი პედაგოგიკური კულტურა და საზოგადოებრივი ცნობიერება თავისი სიღრმით და მრავალფეროვნებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკითხველში და მაღალი ლოგიკური აზროვნებით ხასიათდება.

ხაზგასმით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ნიკო ცხვედაძემ, როგორც კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებამ, კაცმა, რომელიც ამ ქვეყნად ღვთის მიერ მოვლენილი იყო, როგორც აღმზრდელი-პედაგოგი, ახალგაზრდობაზე უზომოდ შეყვარებულმა და მათზე დაუცხრომლად მზრუნველმა, ყველა სასწავლებელში, სა-

დაც კი მას კარი შეუღია და უმოღვაწია, მოსწავლე-ახალგაზრდობის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა. ნიკო ცხვედაძე სულითხორცამდე ქართველი პატრიოტი და ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო, რომელიც ახალგაზრდობაზე, ერის მომავალზე, განსაკუთრებული შემართებით ზრუნავდა. იგი პირადად დადიოდა ყველა სკოლაში, რათა აღმოეჩინა ნიჭიერი, ერუდირებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები, რათა ისინი უსრუნველყო მატერიალურად და მიეყოლინებინა რუსეთის სხადასხვა უმაღლეს სასწავლებელში განათლების მისაღებად. საკმარისია ითქვას, რომ ნიკო ცხვედაძემ თავისი დიდი, შინაგანი პედაგოგიური ინტუიციით პირველმა შენიშნა და აღმოაჩინა ზაქარია ფალიაშვილის არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭი, როცა ეს უკანასკნელი, სრულიად ახალგაზრდა, იმჟამად გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელი იყო. ნიკო ცხვედაძეს დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა ზ. ფალიაშვილისათვის სტიპენდიის დანიშვნისა და რუსეთში სასწავლებლად გაგზავნისათვის, რადგანაც მთელი რიგი ქართველი პედაგოგები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმძღვანელობიდან ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. იგონებდა რა ამ ამბავს, ალ. მიქაბერიძე წერდა: „ეხლა ეს მითხარით, -ჰკითხა მას ნიკო ცხვედაძემ,- მართლა მემდურიან ზაქარია ფალიაშვილს რომ სტიპენდია დავუნიშნეთ? გარწმუნებთ,რომ ისინი ცდებიან და დიდადაც ცდებიან. მე წინდახედული კაცი ვარ და ასე უბრალოდ ამდენი დაგვითა და გაჭირვებით მოპოებულ გროშებს ტყვილა უბრალოდ არ გადავყრი. მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ სიმღერა და მუსიკა, თუ ეს დარგი კარგადაა დაყენებული სასწაულებელში, სხვა სასწავლო საგნების განუყოფელი დისციპლინაა. ამ დარგს უდაოდ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ამ დარგს

სათავეში მოექცა ჭეშმარიტი მუსიკალური განათლებით აღჭურვილი მასწავლებელი, მენდეთ, სასწავლებლის საერთო აღმზრდელობითი საქმე ბევრად მოიგებს... ზაქარია ფალიაშვილი დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონია და თუ ამ ნიჭს იგი კიდევ უფრო განავითარებს და გააფართოებს, მერწმუნეთ, იგი არა მარტო ჩვენ სასწავლებელ'ში, არამედ მთელ საქაროველოში დიდ საშვილიშვილო საქმეს შექმნის...

...მე დარწმუნებული ვარ, რომ ზაქარია ფალიაშვილი ისეთ დიდ საქმეს შექმნის ჩვენში საეროო კულტურის დარგში, რომ თვით ის მასწავლებლები, რომლებიც ამჟამად ჩემს წინააღმდეგ უკმაყოფილებას გამოხატავენ, სიხარულით მიეგებებიან იმ საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილი ჩვენდა სასიქადულოდ საქართველოს მასშტაბით გამოაწყობს." (19,74-75).

ასრულდა ნიკო ცხვედაძის წინასწარმეტყველური სიტყვები და ზაქარია ფალიაშვილის სახით ქართველ ერს მოევლინა უდიდესი კომპოზიტორი, რომლის გენიალურმა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს მუსიკალური ისტორიის საგანძურში. ჩვენი მხრივ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნიკო ცხვედაძეს უკვდავსაყოფად სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ისიც ეყოფოდა, რომ მან აღმოაჩინა და გზა მისცა ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელს ზაქარია ფალიაშვილს, ჩვენი ერის სიამაყესა და დიდებას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნიკო ცხვედაძემ არაერთი ქართველი აღზარდა და გაიყვანა დიდი ცხოვრების ასპარეზზე. რითაც მან სამართლიანად დაიმსახურა ქართველი სახალხო მასწავლებლის საპატიო სახელი.

ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივ-საბანმანათლებლო მოღვაწეობა

განუზომლად დიდი და ყოელისმომცველი იყო ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ხაზგასმით უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ იგი ყოველთვის შემართული იყო ჩვენი ერის საჭირბოროტო პრობლემების მოგვარებისათვის ებრძოლა არა მარტო ბასრი კალმით, არამედ პრაქტიკულად, თავდაუზოგავად ეღვაწა ამ პრობლემის მოგვარებისათვის.

ნიკო ცხვედაძეს გააჩნდა თანდაყოლილი უნარი, ღვთისაგან ნაბოძები ნებისყოფა და შეუპოვრობა, რათა ბოლომდე ებრძოლა თავისი სამშობლოსა და ერის ინტერესებისათვის ნებისმიერ დონეზე და უკან არ დაეხია არავითარი სიძნელეების წინაშე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ნიკო ცხვედაძე წარმოადგენდა დიდი ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ჭეშმარიტად მარჯვენა ხელს და არასოდეს გადაუხვევია ქართველი ერის ბრძოლის ამ მძიმე და რთული, წინააღმდეგობით აღსავსე გზიდან.

ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილთან და გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, მთელი თავისი ცხოერების მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების საქმეს. ამ გამოჩენილ მამულიშვილებს, როგორც განმანათლებელ-დემოკრატებს და ჰუმანისტებს, ამ ცნებების ყველაზე მაღალი გაგებით, ღრმად სწამდათ, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წინსვლა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ პირობებში, როცა ფართოდ გავრცელდება ქართველ ერში ცოდნა-განათლება, მოწინავე ევროპული

ციეილიზაცია და კულტურა. სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება მხოლოდ ცოდნა-განათლების, ხალხში ფართოდ გავრცელების შედეგად შეიძლება იქნეს მოპოვებული. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი და კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი ჯერ კიდევ 1864 წელს ამბობადა: „ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგ ქაროველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა ის აზრი, რომ ეს რეალობა მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფს, როცა გლეხობა გათავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისაგანო“ (3,512).

იაკობ გოგებაშვილის ამ მოსაზრებას იზიარებენ ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ დიდი ილია ჭავჭავაძე, ივ.მაჩაბელი, დ.ყიფიანი, რ.ერისთავი, ა.სარაჯიშვილი, ნ.ცხვედაძე და სხვები. ასე ჩაისახა იდეა, საქართველოში შექმნილიყო მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ცოდნა-განათლებისა და კულტურის გავრცელებას ჩვენს სამშობლოში. ეს იდეა ჩაისახა 1864 წელს და მისი ავტორი იაკობ გოგებაშვილი გახლდათ. თითქმის 13 წელი დასჭირდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს იმისათვის, რომ ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირობებში შეექმნათ ქართველთა შორის ცოდნა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების ამოცანები უფრო ფართო დიაპაზონს მოიცავდა, ვიდრე ეს ასახული იყო ქართველთა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოების წესდებაში.

აღნიშნული საზოგადოება მიზნად ისახავდა მიძინებული ეროვნული შეგნების აღზევებას, ერის შინაგანი ძალების, მისი პოტენციის მობილიზებას, ერის კონსოლიდაციას ახალი, თავისუფალი საქართველოს შექმნისათვის. ამ საშვილიშვილო საქმის რეალიზაციას იმთავითვე ხელი

მოჰკიდა ნიკო ცხვედაძემ იაკობ გოგებაშვილთან ერთად; შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნიკო ცხვედაძემ უდიდესი როლი შეასრულა აღნიშნული საზოგადოების დაფუძნების საქმეში. ამ მიმართულებით მუშაობა მთელი შემართებით წარიმართა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. ორგანიზაციის დამფუძნებლებმა, და მათ შორის ნიკო ცხვედაძემ, დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს, სანამ ქართველთა შორის ცოდნა-განათლების გავრცელების ორგანიზაციას შექმნიდნენ. ამ მხრივ, ძირითადი დატვირთვა ნიკო ცხვედაძეს დააწვა მხრებზე. იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო, აღნიშნული საზოგადოების წესდების შემუშავება ნიკო ცხვედაძემ და დიმიტრი ყიფიანმა იკისრეს. წესდებაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საძოგადოების“ მუშაობის მიზანი და ამოცანები, მისი საგანმანათლებლო და კულტურული მოღვაწეობის მიმართულება, გზები და საშუალება.

როცა ამ წესდებას გაეცნო იაკობ გოგებაშვილი, მან არ ჩათვალა იგი სრულყოფილად იმ გარემოების გამო, რომ მასში არ იყო სპეციალური პუნქტი იმის თაობაზე, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სახალხო სკოლებში სწავლა-განათლება დაფუძნებული ყოფილიყო მშობლიურ, ქართულ ენაზე. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მოთხოვნა ნიკო ცხვედაძემ და დიმიტრი ყიფიანმა არ შეიტანეს მხოლოდ იმის შიშით, რომ მას ასეთ შემთხვევაში არ დაამტკიცებდა კავკასიის მეფის ნაცვალი. იაკობ გოგებაშვილმა თავისი გაიტანა და წესდებაში შეიტანა მოთხოვნა, ქართულ სახალხო სკოლებში მთელი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა წარმართულიყო ქართულ ენაზე. ამ გარემოების გამო, იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე წერდა: „წესდებულების დამთავრების შემდეგ იგი

გამოვაროვი ცხვედაძეს და გულდადებით გადავიკითხე. აღმოჩნდა, რომ მუხლი დედაენაზედ საგნების სწავლების შესახებ არ შეეტანათ შიგა. როცა მიზეზი ვიკითხე, ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ივანესძეს აზრით მაგ მუხლს მთავრობა არ შეიწყნარებს, წესდებულებას არ დაგვიმტკიცებს და სასოგადოებას ვერ დავაარსებთო, მე ვუპასუხე: "თუ ეგ მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლაში რუსულ ენაზე მოითხოვოს, და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მისი გონების დაბნელებას დაეხმარება მეთქი" (3.512).

იაკობ გოგებაშვილმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წესდებაში შეიტანა დამატება, რომლის თანახმადაც საზოგადოება აპირებდა თავისი მიზნების მიღწევას იმ შემთხვევაში, თუ მთელი დაწყებითი განათლება სახალხო სკოლებში დაფუძნებული იქნებოდა მშობლიურ, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე. მხოლოდ მშობლიური ენის საფუძვლიანად დაუფლების შემდეგ,იაკობ გოგებაშვილი მიზანშეწონილად თვლიდა რუსული ენის შესწავლის დაწყებას.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, მშობლიური ენა ყოველი ერისათვის არის საფუძველთა საფუძველი სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისა, სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის წარმართვისა, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მამულიშვილის აღზრდისა. მშობლიურ ენას, როგორც იაკობ გოგებაშვილი წერდა, „აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში მთელს მის ბუნებაში; ამასთან დედა ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და

გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა“ (4,124-125). დიდი იაკობ გოგებაშვილის ამ აზრს მთლიანად და საკუთარით იზიარებდნენ მისი თანამოაზრენი და მათ შორის ნიკო ცხვედაძე, რომელიც ყველაზე ახლობელი მეგობარი იყო ქართული პედაგოგიკის კლასიკოსისა. ნიკო ცხვედაძე არა მარტო იზიარებდა ი. გოგებაშვილის კონცეფციას მშობლიური ენის შესახებ, არამედ მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში იბრძოდა ქართული ენის დამკვიდრებისათვის ქართულ სკოლებში და საერთოდ, ეროვნულ ყოფიერებაში.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდება, ი. გოგებაშვილის ზემოთ აღნიშნული შესწორებების შემდეგ, 1878 წლის 20 ივნისს საზოგადოების დამფუძნებელი 123 წევრის ხელმოწერით დასამტკიცებლად გადაეცა კავკასიის მეფისნაცვალს. მთელი ცხრა თვის განმავლობაში მეფის ნაცვალი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების დაფუძნებას მხოლოდ და მხოლოდ იმ დამატების გამო, რომელიც ი. გოგებაშვილმა შეიტანა მის წესდებაში. ქართველ საზოგადო მოღვაწეებსა და მათ შორის პირველ რიგში ნიკო ცხვედაძეს, წარმოუდგენლად ძნელი, მძიმე წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ „ქაროველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნებისათვის და მხოლოდ 1879 წლის მარტში მეფის ნაცვალმა დაამტკიცა იგი. 1879 წლის 31 მარტს „ქ.შ.წ.კ.გ.ს“ მუშაობას შეუდგა. ამ დღეს შედგა საზოგადოების გამგეობის პირველი სხდომა, რომელზეც აირჩიეს გამგეობის თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ – ილია ჭავჭავაძე, გამგეობის წევრებად იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივ. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი და რაფ. ერისთავი. დაწყებული 1879 წლიდან 1907 წლამდე – უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1885 წლიდან „ქ.შ.წ.კ.გ.ს“ 1907 წლამდე თავმჯდომარეობდა

ილია ჭავჭავაძე, ხოლო მისი მოადგილე და საზოგადოების მთელი მუშაობის წარმმართველი ნიკო ცხვედაძე გახლდათ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ილია ჭავჭავაძე ხშირად დაკავებული იყო სხვადასხვა სამუშაოებით, რის გამოც საზოგადოების მუშაობას წარმართავდა ნიკო ცხვედაძე. ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ილია ჭავჭავაძე, ასევე იაკობ გოგებაშვილიც ყველაზე საიმედო პიროვნებად საზოგადოების ხელმძღვანელობაში ნიკო ცხვედაძეს თვლიდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ნიკო ცხვედაძე წარმოუდგენლად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი მამულიშვილი იყო, რომელიც მთელი არსებით იყო ჩართული ეროვნულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ნიკო ცხვედაძე დღენიადაგ ზრუნავდა იმ დიდი საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიებების რეალიზაციისათვის, რომელიც გათვალისწინებული იყო „ქ.შ.წ.კ.გ.ს"-ის გეგმით. ნიკო ცხვედაძე სასტიკად ებრძოდა მეფის რუსეთის აშკარად გამოხატულ, ანტიქართულ პოლიტიკას განათლების დარგში, ყოველნაირად ცდილობდა გაეფართოვებინა ქართული სახალხო სკოლების ქსელი, სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული კერები. ნიკო ცხვედაძე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა შეერჩია და საზღვარგარეთის უმაღლეს სკოლებში საზოგადოების ხარჯზე სასწავლებლად გაეგზავნა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები.

ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობითა და მეცადინეობით დაარსდა მთელი რიგი სახალხო სკოლები საქართველოში. ასე მაგალითად, 1880 წელს გაიხსნა რამდენიმე სახალხო სკოლა ქუთაისში, იმავე წელს სკოლები გაიხსნა თბილისში, 1881 წელს დაარსდა სკოლა ბათუმში, 1882 წელს წინარეხში, 1884 წელს ძველ სენაკში, 1884 წელს გომარეთში და სხვაგან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ 1880 წლიდან 1907 წლამდე ცხრამეტი ათასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო

განათლება მშობლიურ, ქართულ ენაზე. ნიკო ცხვედაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი სახალხო სკოლებს ხსნიდა პირველ რიგში იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ერის ახალგაზრდობა საერთოდ იყო მოკლებული სკოლებსა და სწავლა-განათლების შესაძლებლობას მშობლიურ ენაზე. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ნიკო ცხვედაძე ბათუმში და საერთოდ აჭარაში, ქართული ეროვნული სკოლების გახსნისათვის. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა დიდი, ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნას.

ნიკო ცხვედაძეს ამ დიდ ეროვნულ საგანმანათლებლო მოღვაწეობაში უხდებოდა წარმოუდგენლად რთული, თითქმის შეუძლებელი წინააღმდეგობების გადალახვა. ეს იყო ის წინააღმდეგობები, რომელსაც ხელოვნურად ქმნიდა მეფის მთავრობის ბიუროკრატიული უწყებები და მისი შოვინისტი ჩინოვნიკები.

ნიკო ცხვედაძეს კარგად ესმოდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ფართო ფენებისათვის, მათი თვითგანათლებისათვის ადგილებზე ბიბლიოთეკების შექმნას, რომელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციები განუზომლად დიდი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა ძირითადად წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ნიკო ცხვედაძის თავდადებული მუშაობისა და მცდელობის შედეგად გაიხსნა შემდეგი ბიბლიოთეკები: 1892, 1894 და 1901 წლებში მარტო თბილისში გაიხსნა სამი ბიბლიოთეკა, ახალციხეში 1895 წ., ქუთაისში 1896 წ., დიდ ჯიხაიშში – 1898 წ., ხონში – 1901 წ., ხარაგოულში -1902 წ. და სხვაგან. უკვე 1907 წლისათვის ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობით დაარსებულ ბიბლიოთეკებში 20 ათასამდე სახელწოდების წიგნი იყო თავმოყრილი და დაახლოებით 30 ათას მკითხველს უწევდა მომსახურებას.

ნიკო ცხვედაძე განსაკუთრებით ზრუნავდა ქართული და ქართულად თარგმნილი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო პოპულარული წიგნების გამოცემისათვის. აღსანიშნავია, რომ 1907 წლამდე „ქ.შ.წ.კ.გ.ს“-ამ გამოსცა 130 დასახელების სახელმძღვანელო და უაღრესად საჭირო სხვადასხვა წიგნები, ნახევარ მილიონზე მეტი ტირაჟით. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე გ. ლასხიშვილი დიდ შეფასებას აძლევდა რა ნიკო ცხვედაძის უდიდეს დამსახურებას,„ქ.შ.წ.კ.გ.ს“-ის მუშაობაში აღტაცებით წერდა: „ნიკო ცხვედაძე შეუდარებელი ენერგიის ადამიანი იყო. იგი არასოდეს არ დაჰკლებია გამგეობის სხდომებს, ზეპირად იცოდა ყველა მისი საქმეები და თუ საზოგადოებამ რაიმე გააკეთა და ეროგვარი სიმპატია დაიმსახურა ქართველ ერში, ამაში უდიდესი ღვაწლი სწორედ ნიკო ცხვედაძეს მიუძღოდა“ (13,149-150). „ქ.შ.წ.კ.გ.ს“-ის ყველა საქმიანობასა და წამოწყებაში ნიკო ცხვედაძე თავდაუზოგავად შრომობდა და იღწვოდა, მისთვის არ არსებობდა დიდი და მცირე საქმეები. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ხელი შეეწყო ქართველ ერში ცოდნა-განათლების გავრცელებისათვის. სამი ათეული წელი იმოღვაწა „ქ.შ.წ.კ.გ.ს“-ში ნიკო ცხვედაძემ და წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოების მოღვაწეობაში.

მაღალ შეფასებას აძლევდა რა ნიკო ცხვედაძის ღვაწლს „ქ.შ.წ.კ.გ.ს“-ში ქართული პედაგოგიკის ისტორიის უნიჭიერესი მკვლევარი ბატონი ვარლამ ქაჯაია მართებულად წერდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ყველა ამ საქმეში ნიკო ცხვედაძის მარჯვენე ხელი და უანგარო შრომა ერია. ათეული წლების განმავლობაში დაუშრეტელის ენერგიით ხელმძღვანელობდა ამ დიდ ეროვნულ საგანმანათლებლო საქმეს ქართული კულტურის ეს დაუღალავი მოამაგე და მისი მუშაობის პერიოდში რაც ღირსშესანიშნავი არის გაკეთებული

საზოგადოების მიერ ამ დარგში, ხშირად მისი პირველი ინიციატორი, ხოლო ყოველთვის უშუალო მონაწილე და მეთაური უსათუოდ ნიკო ცხვედაძე იყო" (33,39).

ნიკო ცხვედაძე ჭეშმარიტად ფართო მასშტაბის საზოგადო და საგანმანათლებლო მოღვაწე იყო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ განათლების, სახალხო სკოლების გახსნის, კულტურის კერების დაარსებისა თუ სხვა ეროვნული საკითხების გადაჭრა-რეალიზაცია უშუალოდ იყო მის სახელთან დაკავშირებული.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გარდა, ნიკო ცხვედაძე გამორჩეული აქტივობითა და შემართებით მოღვაწეობდა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში, რომელსაც „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება" ეწოდებოდა. აღნიშნული საზოგადოების დაარსების ინიციატორი იყო ჩვენში ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი რომანის ძე ერისთავი. წინასწარი, სერიოზული ორგანიზაციული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1878 წლის 8 მაისს შედგა საზოგადოების პირველი კრება, რომელმაც აირჩია თავისი ხელმძღვანელი ორგანო „გამგებელი კომიტეტი", გ. რ. ერისთავის თავმჯდომარეობით, „გამგებელი კომიტეტი"-ს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ კ. მამაცაშვილი,ვ. თულაშვილი,ი. გოგებაშვილი,ნ. ცხვედაძე, ლ. მაღალაშვილი და დ. ერისთავი.

აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორც მისი სახელწოდება მიგვანიშნებს, მიზნად ისახავდა განათლების მიღების საქმეში აღმოეჩინა მატერიალურად ხელმოკლე თავადაზნაურთა და სხვადასხვა ფენების ბავშვები. საზოგადოებას დახმარება უნდა გაეწია იმ ხელმოკლე ახალგაზრდებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყნებში, საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლობდნენ. გარდა ამისა, აღნიშნული საზოგადოება თვითონ არჩევდა

ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდებს, აგზავნიდა მათ რუსეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში თავისი ხარჯებით. „ღარიბ მოწაფეთა საზოგადოება“ თავისი კეთილშობილური მოღვაწეობით დიდად უწყობდა ხელს სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელებას ჩვენში და უმაღლესი განათლების მქონე ეროვნული კადრების მომზადებას. აღნიშნული საზოგადოება თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე შეუდგა არსებული ეროვნული სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განმტკიცებას და ახალი ქართული სკოლების დაარსებას,სადაც სასწავლო პროცესი წარმართული იყო მშობლიურ ენაზე.

საზოგადოება გასცდა თავის სახელწოდებაში ჩადებულ მიზნებს და განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული ენის თავის კანონიერ უფლებებში აღდგენის საქმეში, სკოლებში ეროვნული სულისა და ცნობიერების აღორძინებაში. „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება“, როგორც ვხედავთ, მრავალფეროვან მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ მთავარი მიმართულება ქართული ეროვნული შეგნების აღზევება იყო, რის გარეშეც შეუძლებელი იყო ჩვენი სამშობლოს წინსვლა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარება. ამ გარემოების შესახებ სახელოვანი ქართველი მოღვაწე ს. მესხი 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ადრე ჩვენი შვილების სწავლა უთაურად მიდიოდა. ეხლა იმედი გვაქვს რამდენიმე ათი ყმაწვილი მაინც ამ სკოლის წყალობით სწორედ ისეთს პირველ დაწყებითს სწავლას მიიღებენ, როგორსაც ნამდვილი პედაგოგია მოითხოვს. ყველაზე პირველად ის მაინც იქნება, რომ ქართველი ყმაწვილები თავის გასაგებ ენაზე დაიწყებენ სწავლას. სხვა არა იყოს რა, ეცოდინებათ მაინც, თუ რას ეუბნება იმას მასწავლებელი, რაზე ელაპარაკება და რა საგანს უხსნის – ესეც დიდი ბედნიერებაა,მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ იმიტომ გვიხარია

ამ სკოლის გახსნა, რომ იმედი გვაქვს იმაში ისადგურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; იქ არ დააეიწყდებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისათვის იზრდებიან ისინი“ (14).

ნიკო ცხვედაძე დღენიადაგ იღწვოდა ქართული სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გარდაქმნა-სრულყოფისათვის, რათა ეროვნული სკოლები გადაქცეულიყვნენ ჭეშმარიტი განათლების კერებად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არ ყოფილა შემთხვევა, რომ არ დასმულიყო სკოლისა და განათლების საკითხები, მომავალი თაობის აღზრდის საკითხები,მათი სრულყოფისა და რეფორმირების აუცილებლობა, რომელშიც პირადი მონაწილეობა არ მიეღოს ნიკო ცხვედაძეს. ცნობილია, რომ ნიკო ცხვედაძე წლების მანძილზე იყო თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტის მუდმივი წევრი და გამორჩეული ენერგიით ხელმძღვანელობდა მის მუშაობას.

ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობით 1884-85 სასწავლო წლიდან თბილისის სათავადაზნაურო დაწყებით (მოსამზადებელ) სკოლასთან პირველი პროგიმნაზიული კლასი გაიხსნა, ხოლო 1888 წლისათვის იგი სრულკომპლექტიან კერძო პროგიმნაზიად ჩამოყალიბდა.

ნიკო ცხვედაძეს, როგორც იაკობ გოგებაშვილი გადმოგვცემს, ძალზე დიდი და აქტიური მონაწილეობა მიუღია 1883 წელს სოფელ წინამძღვრიანთკარში, ილია წინამძღვრიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით გახსნილ სასოფლო-სამეურნეო სკოლის მუშაობის საქმეში. აღნიშნული სამეურნეო სასწავლებელი პირველი იყო საქართველოში და მის დანიშნულებას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო საშუალო განათლების მქონე

ახალგაზრდობის მომზადება. ამ ტიპის სკოლის დაარსებას დიდხანს ნატრულობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები, რადგან ამ ტიპის სასწავლებლის აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში და იგი ჰაერივით სჭირდებოდა ჩვენს ერს, რამდენადაც ჩვენი სამშობლო აგრარული ქვეყანა იყო და სოფლის მეურნეობის მცოდნე სპეციალისტების მწვავე დეფიციტს განიცდიდა.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნით აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე წერდა: „როგორ შეიძინოო ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? ამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გიჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელ საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი – აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვია. აი, ამ პატარა სახლიდან გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული ფარ – ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ“ (3,254-25).

ნიკო ცხვედაძეს, რომელიც ითვლებოდა დასავლეთ ევროპის სამეურნეო სასწავლებლების მცოდნედ და ამ საქმეებში ღრმად ჩახედულ კაცად, დაევალა შეედგინა

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის სასწაელო პროგრამები. ნიკო ცხვედაძემ ძალზე სერიოზული და შრომატევადი სამუშაოები ჩაატარა და შეადგინა აღნიშნული სასწავლებლის პროგრამები, რომელიც მოწონებულ იქნა ქართველ მოღვაწეთა მიერ.

მაგრამ ქართულ საზოგადოებრიობაში რატომღაც გავრცელდა ხმა, რომ თითქოსდა სამეურნეო სასწაელებლის პროგრამები შედგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ. ამიტომაც 1903 წელს ი. გოგებაშვილი თავის ერთ-ერთ წერილში იძლეოდა შემდეგ განმარტებას: „სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვა, რომ მე მეკუთვნის მხოლოდ გეგმა სწაელებისა და განმარტებითი წერილი, პროგრამები – კი უმთავრესად შედგენილნი არიან ნიკო ცხვედაძის მიერ. ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილი, რასაკვირველია, უმხურვალეს მონაწილეობას იღებდა საქმეში, რომელსაც მან მისცა დასაბამი თავდაპირველად... სამაგალითო მხნეობით მოქმედებდა, როგორც წესდებულების შედგენის დროს, ისე მისი დამტკიცების ჟამსა“ (3,408).

1891 წელს ნიკო ცხვედაძე, ნ. ნიკოლაძესთან, ივ. მაჩაბელთან და სხვა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, არჩეული იქნა ქალაქის თვითმმართველობაში, თბილისის სათაობიროს პირველი თანრიგის ხმოსნად. იგი აქტიურად მონაწილეობდა სათათბიროს სასკოლო კომიტეტში, რომელშიც, გარდა ნ. ცხვედაძისა, შედიოდნენ: ნ. ზუბალაშვილი (კომიტეტის თავმჯდომარე), გ.ევანგულოვი, დ. ორბელი, ელ. მიქელაძე და ა. ივანენკო.

ნიკო ცხვედაძეს, როგორც სასკოლო საქმის ჩინებულ მცოდნესა და პედაგოგიკის ჩამოყალიბებულ თეორეტიკოსს სასკოლო კომიტეტი ხშირად ავალებდა თბილისისა და მისი შემოგარენის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემოწმებას. ნიკო ცხვედაძე შესანიშნავად იყენებდა ამ მდგომარეობას და დაწყებითი სასწაელებლების შემოწმებისას ეხმარებოდა

სკოლების ხელმძღვანელობასა და მასწავლებლებს სასწავლო-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესების საქმეში. ამას ნათლად ადასტურებს დაწყებითი სასწავლებლების შემოწმების შედეგად ნიკო ცხვედაძის მიერ სანიმუშოდ, საქმის ღრმა ცოდნით შედგენილი ანგარიშები და მოხსენებითი ბარათები.

ასე რომ, ქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობა წარმოადგენდა ნიკო ცხვედაძის საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს მისი მჩქეფარე და მოუსვენარი ცხოვრების განუყრელ და მნიშვნელოვან სარბიელზე.

უდიდესი სამსახური გაუწია ნიკო ცხვედაძემ საქართველოში ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მათში სასწავლო მუშაობის ძირეული გაუმჯობესების საქმეს.

ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს ნიკო ცხვედაძის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მან გასწია ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. 1897 წლიდან ნიკო ცხვედაძე შეუდგა თბილისში ქართული გიმნაზიისათვის შენობის აგებას, რომელსაც მან თავისი ცხოვრების 14 წელი შესწირა და ფაქტიურად ქართული უნივერსიტეტის დაარსებას ჩაუყარა საფუძველი.

ცნობილია, რომ 1897 წლის 22 მაისს „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ სხდომაზე ნიკო ცხვედაძემ დააყენა საკითხი ქართული გიმნაზიისათვის ახალი შენობის აგების შესახებ. აღნიშნული საზოგადოების სხდომამ მოიწონა ნიკო ცხვედაძის წინადადება და მიიღო დადგენილება საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენის შესახებ, სადაც გიმნაზიის ახალი შენობა უნდა აშენებულიყო. ამ დადგენილების მიღებისთანავე ნიკო ცხვედაძე შეუდგა ჩანაფიქრის რეა-

ლიზაციას. უპირველეს ყოვლისა, შემოწირულობის საშუალებით შეგროვილი ფულით მან შეიძინა მიწის ნაკვეთი ვარაზის ხევთან და დაიწყო ზრუნვა სასწავლებლისათვის ღირსეული და საჭირო შენობის აგებისათვის. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უდიდეს საქმეს ისე მოჰკიდა ხელი ნიკო ცხვედაძემ, რომ კაპიკი ფულიც კა არ ჰქონდა ჯიბეში, მაგრამ იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მოწინავე ქართველი საზოგადოება მხარს დაუჭერდა ამ საშვილიშვილო წამოწყებას და ყველაფერს გაიღებდა იმისათვის, რათა ჩანაფიქრი რეალობად ექცია.

ჟურნალი „მოამბე", 1899 წელს მკითხველს აუწყებდა: „ადგილი სკოლისათვის (ლაპარაკია ქართული გიმნაზიის შესახებ), სივრცით 12 დღიური, უკვე ნაყიდია ვერაზე და სახლის აგებისათვის ფული გროვდება. ეს საქმე მთლად იკისრა თავის თავზე ბატონმა ცხვედაძემ. ეჭვი არ არის, რომ დიდი, მეტად დიდი და ძნელი ტვირთი იკისრა ამ პატივცემულმა მოღვაწემ, მაგრამ მისი ერთგულება საზოგადო საქმისადმი, დაუღალავი შრომა და საქმის ცოდნა თავდებია, რომ ეგ საქმე სასურველად დამთავრდება. იმედი ვიქონიოთ, რომ მთელი ქართველობა თანაგრძნობას და შემწეობას აღმოუჩენს ამ კეთილს და საშვილიშვილო საქმეს" (20,86).

უნდა ითქვას, რომ ქართველი ინტელიგენციის ყველა ფენა როდი უჭერდა მხარს ნიკო ცხვედაძის ამ დიდებულ წამოწყებას. ჩვენი საზოგადოებრიობის ეროი ნაწილი არა თუ მხარს უჭერდა, არამედ საცინლადაც იგდებდა მას. ზ. ჭიჭინაძის ცნობით ნ. ცხვედაძე ამისათვის კიდეც „ჰკიცხავდნენ მრავალნი ყველრებითა, ვერის მელებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენახშირე და მეშეშებისაკენ უნდა გარეკოსო. ამაზე ბევრ ნაირს მასხრობას, დაცინვას და საყვედურებს ასმენდნენ მყიდველს. მეორენი სიძვირე-

საც სწამებდნენ. დაწუნებას, კიცხვას და ადგილის უხეირობას საზღვარი არ აქვნდა.“ (31,34).

ნიკო ცხვედაძე რჩეული სიდინჯითა და შეუპოვრობით ხვდებოდა მსგავს „კომპლიმენტებს“, არაფრად აგდებდა მათ და მტკიცედ მიიწევდა დასახული მიზნის მისაღწევად.

ნიკო ცხვედაძე მთელი სამი წლის განმავლობაში ყურადღებით ეცნობოდა და სწავლობდა სხვადასხვა ტიპის სასკოლო ნაგებობათა პროექტებს, ცდილობდა ამოერჩია მათში ყველაზე საუკეთესო. აღსანიშნავია ისიც, რომ მან რუსეთიდან და ევროპიდან გამოიწერა მთელი რიგი პროექტები; გარდა ამისა, ნიკო ცხვედაძემ სამუშაოდ მოიწვია ცნობილი ქართველი არქიტექტორი, ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი სვიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილი. ამ უკანასკნელმა უკვე 1900 წლის დამლევისათვის წარმოადგინა დასრულებული პროექტი გიმნაზიის შენობისა, რომელიც წარედგინა გამგე-კომიტეტს დასამტკიცებლად. ეს პროექტი ერთხმად იქნა მოწონებული და დამტკიცებული. ისიც გვინდა შევნიშნოთ, რომ ნიკო ცხვედაძემ გაითვალისწინა რა მომავალში ქართული უნივერსიტეტის დაარსება, შენობის ასაგები პროექტიც ამ კუთხით იქნა შედგენილი. იმავე 1899 წლის 14 ოქტომბერს საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი დღევანდელი ჩვენი უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის მშენებლობას. ამ ამბით გახარებული გაზ. „იევრია“ აღტაცებით იტყობინებოდა, რომ „14 ოქტომბერს (1899წ), თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ შეძენილს ადგილზედ, ამ სკოლის ახალ შენობის საძირკველი ჩაჰყარეს და აკურთხეს“ (9).

როგორც უკვე ვთქვით, ამ დიდ ეროვნულ საქმეს საქართველოს საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი პესიმისტურად შეხვდა. მათ ეს ყველაფერი ფუჭ, განუხორციელებელ ოცნებად მიიჩნიეს. ცნობილი ქართველი მოღვაწე ამის გამო თავის მემუარებში წერდა: „კარგად

მახსოვს ის დღე,როცა ცხვედაძემ ქაროველი საზოგადოება მიიწვია საძირკველის ჩაყრაზე და კურთხევაზე. სხვათა შორის ვიყავით რედაქციის წარმომადგენლებიც.. ნიკო ცხვედაძე ნამდვილ ახალგაზრდული ენთუზიაზმით იყო გატაცებული,მაგრამ ბევრი დამსწრე სკეპტიკურად აქნევდა თავს და ჩუმად დასცინოდა კიდეც ინიციატორს.. სხვათა შორის, ცერემონიის გათავების შემდეგ, ნიკო მოგვიბრუნდა ახალგაზრდებს და გვკითხა: ყმაწვილებო, გირჩევთ შეიძინოთ აქ სამოსახლო ადგილები, ეხლა ახლო-მახლო მიწა აქ ღირს საუენი რამდენსამე კაპეიკად, რამდენიმე წლის შემდეგ კი ათ თუმანადაც არავინ მოგცემთო. ვაკე მაშინ წარმოადგენდა ოღრო-ჩოღრო უდაბნოს და ჩვენც ზურგს უკან დავცინეთ მოხუც ენტუზიასტს: რას ამბობს ეს აადამიანი, ვის გაუგონია აქ დასახლება".. (13,150). ასე რომ, 1900 წლის შემოდგომიდან ნიკო ცხვედაძე შეუდგა ქაროველი ერისათვის ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი და ურთულესი საქმის შესრულებას. ჩვენი იმდროინდელ წინაპართა საკმაოდ სოლიდური ნაწილი, ქართველი ერის დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით პესიმისტურად განწყობილი ადამიანები რას წარმოიდგენდნენ, რომ ნიკო ცხვედაძის მიერ საფუძველჩაყრილი და აშენებული შესანიშნავი შენობა გადაიქცეოდა ჩვენი ერის უდიდეს სამეცნიერო და კულტურულ ცენტრად. ჩვენი ერის ინტელექტუალური ძალების მექად, სადაც ასობით და ათასობით ახალგაზრდა მიიღებდა ჭეშმარიტად საუნივერსიტეტო განათლებას.

გრანდიოზულ მშენებლობას დიდი ფული სჭირდებოდა, ამიტომაც ნიკო ცხვედაძე ახალი შემართებით და აღტკინებით შეუდგა ფულის შეგროვებას შემოწირულობათა სახით. იაკ. მანსვეტაშვილი იგონებდა რა ამ პერიოდს, წერდა: „ვაკეზე მიწის შეძენა მოვახერხეთ, ახლა შენობისათვის უნდა გვეშრუნა, მაგრამ საიდგან, რა ღონით,

ფული სად იყო? გადავწყვიტეთ ჩვენი საწყალი ჯიბეები გადმოგვებრუნებინა და რაც გვქონდა, ამოგვებერტყა. იყო შედგენილი სიები ქართველ მოხელეთა, მსახურთა და ასე გროშებით, სწორედ გროშებით შეკრებილი ფულით ჩაგყარეთ საძირკველი. ამაზე ხომ ვერ შევდგებოდით? გართულდა საქმე, ფული ბევრი უნდოდა. ჩვენი გროშებით, თუნდ მანეთებითაც ვეღარას გაუხდებოდით. უნდა სხვა ღონე გვეღონა. აი სწორედ აქ იჩინა თავი ცხვედაძემ. ამოიღებდა ნიშანში, ვისაც რაიმე ქონებას შეამჩნევდა, შეუჩნდებოდა და მანამ ფულს არ გამოაღებინებდა, არ მოეშვებოდა. არც ერთი შეძლებული ქართველი არ გადაურჩებოდა ცხვედაძის ხარკს. ჩვენში იქნებოდა, რუსეთში თუ უცხოეთში, ყველგან ხელს მიაწვდენდა, ყველას გამოემეტებინებდა რასმე. ხერხი იცოდა, ვისთან როგორ უნდა მისულიყო, ვისთვის საიდამ მოეელო. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო მეტი მადა ეშლებოდა ჩვენს ნიკოს. ჯერ განზრახული იყო მხოლოდ ორსართულიანი შენობა, მერე მადა გაეხსნა და ორი სართული ოთხად გადააქცია, ახლა კი წერილ-წერილად შეგროვებული შემოწირულებანი ხარჯებს ვეღარ ჰფარავდა. უნდა სხვა გზას დასდგომოდა და ამ გზამ ნიკო მიიყვანა დავით სარაჯაშვილთან და ჩვენ ბანკთან. სარაჯიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უხვად გაშალა ხელი და არას ზოგავდა ამ საქმისათვის" (15,219).

ნიკო ცხვედაძე არ ერიდებოდა პირად დამცირებას, დაცინვას, დროსა და ენერგიის ხარჯვას, ნერვიულობას, იგი არ იხევდა არაფისა და არაფრის წინაშე, ოღონდ დასახული მიზნისათვის მიეღწია დიდი ეროვნული საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში. ამ გარემოების გამო თავის მოგონებებში გ.ა. ბაგრატიონ-დავიდოვი წერდა: „მახსოვს ერთხელ ის მოვიდა ჩემთან მხიარულ გუნებაზე, — მე იმ წამსვე მივხვდი, რომ მან უკვე მოასწრო ვიღაცასთან საქმის გაჩარხვა და იმასვე აპირებდა ჩემთანაც. ლაპარაკობდა საკმაოდ დიდ ხანს, გაცხოველებით, თითოეულმა ჩვენ-

თაგანმა კარგად იცოდა ჩვენი საუბრის საბოლოო მიზანი, მე მოუთმენლად ველოდი როდის დაიწყებდა ის შეტევაზე გადმოსვლას, ის კი ელოდა მოხერხებულ მომენტს შეტევისათვის, ბოლოს შემომიტია, მაგრამ როგორი იყო მისი გაოცება, როდესაც მოწინააღმდეგე მყისვე დანებდა. როგორც სჩანს, მას მეტ სიამოვნებას გვრიდა საქმის ბრძოლით აღება და ამიტომ სწრაფი გამარჯვება, ეტყობა არ ესიამოვნა... ამგვარად, ნიკოლოზ ზებედეს-ძე, -საქმის სარგებლობისათვის აშკარად ძარცვავდა ყველას თავადაზნაურობას, ბანკს, მდიდარ ვაჭრებს. კონსტანტინე ივანის-ძე მუხრანსკი, დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი მისი მსხვერპლი იყვნენ და ამ „ძარცვის" წყალობით ჩვენს საზოგადოებას შეეძინა ისტორიული შენობა, როგორც თავისი სიდიადით, ისე მოხერხებულობითაც... ის თამამად შედიოდა სახლში, დაწვრილებით უამბობდა მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც სწყუროდა განათლება, უამბობდა იმაზე, თუ რას შეეძლო მისი შველა ან მძიმე ცხოვრების შემსუბუქება და შემდეგ გადადიოდა თხოვნაზე და, ხშირად, თავისთვის შეუმჩნეველად მოთხოვნაზეც, და ნუ აღშფოთდება ამ კრისტალური ქმნილების სული, თუ მე მას „ბანდიტს" ვუწოდებ. მართალია, მას არ ჰქონდა თან რევოლვერი და ჯერ ვერ შეჩვეოდა გამოთქმას – „ხელები ზევით", მაგრამ დანარჩენს სხვას ყველაფერს, რაც ხმარებაში ჰქონდათ ნამდვილ ბანდიტებს, ნიკოლოზ ზებედეს-ძე მათზე ნაკლებად არ იყენებდა. მან შექმნა ბანდიტიზმის ისეთი კატეგორია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სთესავდა მხოლოდ ბედნიერებას და სიხარულს" (2, 184-185).

ასეთი საშუალებებით და ხერხებით, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ნიკო ცხვედაძე აგროვებდა დიდ თანხებს და აშენებდა ფუნდამენტურ და ისტორიულ შენობას. საჭიროებამ იძულებული გახადა იგი მიემართა სხვადასხვა ბანკებისათვის. განსაკუთრებული დახმარება შეეძლო გაეწია

მშენებლობისათვის სათავადაზნაურო ბანკს, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა ამ საქმისათვის სოლიდური თანხები გამოეყო. ამიტომ, ნიკო ცხვედაძე ხშირი სტუმარი იყო სათავადაზნაურო ბანკის კრებებისა, რომლის დროსაც მას უხდებოდა არაერთი გამოსვლა, რათა დაერწმუნებინა ბანკის ხელმძღვანელობა წამოწყებული მშენებლობის დიდ ეროვნულ მნიშვნელობაში და დაეთანხმებინა ისინი ფულადი სახსრების გამოყოფაში. ძირითადად ამ საქმეში ნიკო ცხვედაძე უმეტესად გამარჯვებული გამოდიოდა და შოულობდა სოლიდურ თანხებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მის წინააღმდეგ თავდასხმები კვლავ გრძელდებოდა. ხშირად იყო შემთხვევები, როცა მას აშკარად და დაუფარავად ლანძღავდნენ იმისათვის, რომ არ იყო საჭირო გიმნაზიისათვის მსგავსი დიდი შენობის აგება, რომ ეს მშენებლობა ჩაიშლება და ვერასოდეს დამთავრდება იგი. ნიკო ცხვედაძე ყოველივე ამას ეაჟკაცურად იტანდა. არაფრად თვლიდა და შეუპოვრად მიიწევდა დასახული მიზნისაკენ, ყველასათვის პოულობდა კორექტულ და თავაზიან პასუხებს." ყოველი მხრიდან თავდასხმები ვერ აშინებდა ცხვედაძეს, ის მედგრად იტანდა ყველა უსიამოვნებას და კიდევ უფრო მეტი ენერგიით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს. „თქვენ ამბობთ, რომ შორსაა", იტყოდა ის გარწმუნებთ, რომ მალე ახლოს იქნება, მხოლოდ იქონიეთ მოთმინება და ხელის შეშლის ნაცვლად, დამეხმარეთ. თქვენ ამბობთ, რომ ის ძლიან დიდია ჩვენი ღარიბი საზოგადოებისათვის, რომ ჩვენ არ გვესაჭიროება უზარმაზარი შენობა, მე კი გარწმუნებთ თქვენ, რომ ის პატარა გახდება თავის დროზე" (2, 190).

ერთ პერიოდში, დაახლოებით 1904–1905 წლებში, თავადაზნაურთა ნაწილმა მოითხოვა დაუმთავრებელი შენობის გაყიდვა, რადგანაც ჩათვალეს, რომ ფულადი სახსრების უქონლობის, მისი სიმცირის გამო, მშენებლო-

ბის შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი იყო. ნიკო ცხვედაძემ ჩვეული ენერგიულობით გაილაშქრა ასეთი მოთხოვნილებისა და გამოხტომების წინააღმდეგ. იგი ყველა მოწინააღმდეგეს უმტკიცებდა, რომ საჭირო იყო ამ საშვილიშვილო მშენებლობის ბოლომდე მიყვანა, რომ იგი უკან არ დაიხევდა არავითარი სიძნელეების წინაშე დასახული მიზნის მიღწევისათვის. ალ. მიქაბერიძე თავის მოგონებებში წერდა: „ყულაბებით მოვაგროვებ გროშებს და, ამრიგად მოგროვილი ფულით ვალსაც გადავიხდი და შენობასაც დავამთავრებთ. გაყიდვაზე კი ლაპარაკი არ შეიძლება. ნუთუ მთელი ქართველობა ასეთ საშვილიშვილო საქმეს ხელიდან გამოიცლის. ნუ დაგავიწყდება, რომ ამ შენობაში თავის დროზე საქართველოს მომავალი უნივერსიტეტი გაიმართებაო“ (19, 48). ნიკო ცხვედაძეს საძირკვლის ჩაყრამდე უკვე გამიზნული ჰქონდა აგრო ისეთი შენობა, რომელიც მომავალ ქართულ უნივერსიტეტს გამოადგებოდა. ამას ადასტურებს ალ. ჯაბადარის მოგონებებიც, სადაც ვკითხულობთ: „როდესაც შენობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვას გავეცანი დაწვრილებით, ცხვედაძეს ვკითხე: ბატონო ნიკო! თქვენ მიერ დაწყებული შენობის დამთავრებას დიდი ფული დასჭირდება, შენობის პროექტიდან ნათლად ჩანს, რომ ეს შენობა გიმნაზიისათვის ძალიან დიდია, გარდა ამისა, თქვენი ხარჯთაღრიცხვა მცირეა, ამით სახლს ვერ დაამთავრებთ და, ბოლოს, შეიძლება დიდი უსიამოვნება მოხდეს... მე როგორც კომიტეტის წევრი, მოვალე ვარ თქვენც გითხრათ ეს და კომიტეტის კრებაზე და საზოგადო ყრილობაზედაც აღვნიშნო. შევიტყვე, რომ ამ სიტყვებმა დააფიქრა და თითქოს კიდეც ეწყინა. ეს ლაპარაკი შენობის ეზოში მქონდა. ნიკომ მკლავში ხელი წამაელო, შენობის მოშორებით გამიყვანა და დაიწყო: „რაც თქვენა სთქვით, ყველა მართალია, ისიც მართალია, რომ გიმნაზიისათვის ეს შენობა დიდია,

მაგრამ, რაკი კითხვა ასე დააყენეთ, გეუბედებით ჩემი ნათქვამი საიდუმლოთ შეინახოთ და შემდეგში დამეხმაროთ, რომ ეს დიდი საქმე შევასრულო. არ ვიცი მოვესწრები თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი იქნება... მე რომ ნამდვილი ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა, თქვენ ამ შენობას თვალითაც არ ნახავდით... მე მწამს, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება და ამოდენა შენობას სწორედ ამისათვის ვაშენებ“ (34, 203-204).

ნიკო ცხვედაძის დიდი შრომა, წარმოუდგენელი წინააღმდეგობების დაძლევა, ზეადამიანური ნებისყოფა და შეუდრეკელი სელა დასახული მიზნის მიღწევისათვის წარმატებით დასრულდა. მან შთამომავლობას მომავლისათვის, ბედნიერებისათვის აუგო ტაძარი, სადაც გაიხსნა კიდეც პირველი ქართული, ეროვნული უნივერსიტეტი. პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, აღნიშნავდა რა ნიკო ცხვედაძის ღვაწლს უნივერსიტეტის დაარსების საქმეში, წერდა: „ყველას შეუძლია თავისი წელილი შეიტანოს სამშობლოს საუნჯეში: აი მაგალითი: ვინ ააგო ეს მშვენიერი მეცნიერების ტაძარი? ერთმა სოფლის მღვდლის შვილმა ნიკოლოზ ცხვედაძემ, რომელიც ცხოვრობდა მცირე ჯამაგირით, ყველას უკვირდა, როგორ მოახერხებს ამგვარ საქმესაო, მაგრამ ცდით და გარჯით, მოახერხა ეს დიდი საქმე. ჩვენი ქვეყნის შემოსავალი მაშინ ჩვენ ხელთ არ იყო, შეჰკრიბა კერძო პირებისაგან შეწირულება და ამით ააგო დღევანდელი უნივერსიტეტი... მან მოასწრო მარტო ამ მშვენიერი მეცნიერების საკანის დამთავრება. ამბობდა, რომ ერთ დროს ეს საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნისათვისო და აი ახლა დადგა ის დრო, როდესაც გველირსა ჩვენი უნივერსიტეტი, მაგრამ თვითონ ვეღარ მოესწრო ამ დროს (28,60-61).

მაღალ და ყოველმხრივ შეფასებას აძლევდა რა ნიკო ცხვედაძის დამსახურებას, ქართველი უნივერსიტეტის

ფუძემდებელი ივ.ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში „ჩვენი მეცნიერების ტაძრის ათი წლის თავზე", ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ფასდაუდებელია მისი ღვაწლი, შთამომავლობამ ღირსეულად უნდა დააფასოს და მიაგოს ღრმა პატივისცემა სასიქადულო მამულიშვილსა და უანგარო საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც მოგვიმზადა ის შენობა, სადაც ბინა დაიიდეთო.

ნიკო ცხვედაძემ განსაკუთრებული კვალი დატოვა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან მთელი თავისი ნათელი ცხოვრება მთლიანად მოახმარა ქართველი ერის აწმყოს და, განსაკუთრებით კი, მის მომავალს. ნიკომ ცხვედაძემ არ იცოდა რა იყო დასვენება, იგი შეეწირა ჩვენი ერის სამსახურს, მისი აღორძინებისა და წინსვლის საქმეს. იგი, როგორც წმინდა სანთელი, ნელ-ნელა დაიწვა ერისა და ტანჯული საქართველოს ეროვნული აღორძინების შრომასა და ბრძოლაში (გარდაიცვალა 1911 წლის 12 ნოემბერს).

მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი იყო ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მაგრამ, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი სახელის უკედავსაყოფად სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა მას, ჩვენი უნივერსიტეტის შენობის აგებაც საკმარისი იქნებოდა.

ნიკო ცხვედაძის ცხოვრება და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა ბრწყინვალე ნიმუშია სამშობლოსა და საკუთარი ერის დიდი და უანგარო სამსახურისა, ჭეშმარიტი პატრიოტისა და სამაგალითო მამულიშვილისა.

ნიკო ცხვედაძე უკვე სტუდენტობის წლებში მთელი მიმართებით დაეწაფა მოწინავე ევროპული და რუსულ მეცნიერებათა შესწავლას. მართალია, იგი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, მაგრამ არ კმაყოფი-

ლდებოდა მარტო აქ მოსმენილი ლექციებით და მუდმივი სტუმარი იყო მოსკოვის უნივერსიტეტისა, სადაც იგი ისმენდა ცნობილი პროგრესული მეცნიერების ლექციებს. ამასთან, ნიკო ცხვედაძე ძალიან ბევრს მუშაობდა, რათა დამოუკიდებლად შეეძინა ცოდნა სხვადასხვა დისციპლინებში, იგი წარმოუდგენლად გადატვირთული სამუშაო დღის წესრიგით ცხოვრებდა რუსეთში სწავლის პერიოდში.

სტუდენტობის დროს ნიკო ცხვედაძე დაინტერესდა პედაგოგიკის თეორიითა და ისტორიით. მოსკოვში ყოფნისას საფუძვლიანად გაეცნო და შეისწავლა ევროპის პედაგოგიკის ისტორია.

პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიისადმი ინტერესი და სიყვარული ნიკო ცხვედაძეში ჩაისახა და განვითარდა იაკობ გოგებაშვილის დიდი ზეგავლენის გამო. ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში გაიცნო ნიკო ცხვედაძემ იაკობ გოგებაშვილი და შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში იყო მისი უახლოესი მეგობარი, თანამოაზრე და თანამებრძოლი. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულა ნიკო ცხვედაძის შორეულ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო და პრაქტიკულ, პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

განათლების, ცოდნის, კულტურის ფართოდ გავრცელება, ხალხის ფართო მასებში ნიკო ცხვედაძეს, როგორც განმანათლებელ-დემოკრატს, მიაჩნდა ჩვენი ქვეყნის მომავლის, ახალი საქართველოს შექმნის ერთადერთ გარანტად. ნიკო ცხვედაძის აზრით, სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებაც მხოლოდ ცოდნა-განათლებით შეიძლება იქნეს მიღწეული. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 1868 წელს თავის პირველ წერილში იგი წერდა: „ეისაც უყვარს თავისი მამული, ჰსურს თავისი ქვეყნის კეთილდღეობა, ის უნდა ცდილობდეს ახალგაზრდა ყმაწვილების შემწეობას,

რადგანაც ესენი უნდა შეიქმნენ გამაერცელებელნი განათლებისა. მომავალ შთამომაველობაში ეისაც სურს, რომ იმისი ქვეყნის კაცები არ გახდნენ გონებით ზონაში, ის უნდა ცდილობდეს, თავის მხრივ, შეძლებისდაგვარად, წაუმართოს ხელი ყველა ქართველს, სწავლების მიღების მსურველს“ (24).

ნიკო ცხვედაძე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური გარდაქმნისათვის, ანიჭებდა რა გადამწყვეტ მნიშვნელობას ცოდნა-განათლებას, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეულმა გარდაქმნებმა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს რეალური სოციალური თავისუფლება უნდა მოუტანოს. ეს აზრი ნათლად არის განვითარებული ნიკო ცხვედაძის ნაშრომში, უფრო სწორად ისტორიულ ნარკვევში, რომელსაც ეწოდება „დასაველეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით მე-16 საუკუნეში“. ამ ნარკვევს მან ეპიგრაფად წაუმძღვარა შილერის ცნობილი გამოთქმა: „თავისუფლებას შეუძლია გააკეთილშობილოს და აამაღლოს კაცობრიობა“. ამ ნარკვევში ნიკო ცხვედაძე ასაბუთებდა, რომ თავისუფლებისათვის „ბრძოლა იმდენად უფრო ძლიერდებოდა და ცხარდებოდა, რამდენადაც მატულობს კაცობრიობის მოსაზრება და გონებითი გახსნა, რამდენადაც კაცის გონება იძენს ცოდნას“ (25).

ამრიგად, ნიკო ცხვედაძის მსოფლმხედველობრიეი მრწამსი, მისი შინაარსი და ხასიათი, მთლიანად იყო განსაზღვრული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებით და, ამავე ინტერესებს ეფუძნება და ემსახურება მისი პედაგოგიკური კრედოც.

ნიკო ცხვედაძე ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების სისტემის შექმნის შესახებ

ნიკო ცხვედაძის თეორიულ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი განეკუთვნება ქართული ეროვნული სკოლის შექმნას, სახალხო განათლების სისტემის დაფუძნებას და ამ მიმართებით მათი თეორიული საფუძვლების მეცნიერულ დამუშავებას.

ნიკო ცხვედაძემ ამ საშვილიშვილო საკითხების მეცნიერულ-თეორიული დამუშავების რთულ და საპატიო საქმეში სოლიდური წვლილი შეიტანა. ამასთან ერთად, ნიკო ცხვედაძე არა მარტო თეორიულად ამუშავებდა ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების სისტემის შექმნის საკვანძო საკითხებს, არამედ მთელი შემართებით იბრძოდა, პრაქტიკულად მისი რეალიზაციისათვის. ამ საქმეს ფაქტიურად მთელი თავისი სიცოცხლე, ცოდნა და ენერგია მოახმარა ჩვენმა სანიმუშო წინაპარმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა,რითაც უკვდავი ძეგლი დაიდგა თავის სიცოცხლეშივე.

ნიკო ცხვედაძე იყო ის პიროვნება, რომელიც წერდა და აზროვნებდა ისე, როგორც მას სწამდა, როგორც მას სჯეროდა; ამასთან, ცხოვრობდა და მოქმედებდა ისე, როგორც წერდა და აზროვნებდა. ასე რომ, იგი იყო პიროვნება, რომელშიც ორგანულად იყო შერწყმული სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ამას თვალნათლივ ადასტურებს ნიკო ცხვედაძის მთელი ნათელი ცხოვრება და უანგარო, უპრეტენზიო მოღვაწეობა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი-დიდი ილია, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, სერგი მესხი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები თავისი ეროვნულ-

საგანმანათლებლო დემოკრატიული მსოფლმხედველობის შესაბამისად, თვლიდნენ, რომ ეროვნულ-ეკონომიკური აღორძინება, ახალი, თავისუფალი საქართველოს აშენება, ეროვნული შეგნების, ეროვნული სულის აღზევებით უნდა განხორციელებულიყო. ამისათვის კი ისინი ერთსულოვნად იმ თვალსაზრისზე იდგნენ, რომ საჭირო იყო ცოდნა-განათლების გავრცელება ხალხის უფართოეს მასებში, რისთვისაც უნდა შექმნილიყო ეროვნული სკოლების ფართო ქსელი და ეროვნული სახალხო განათლების სისტემა. ეს გზა მიაჩნდათ სამოციანელებს ერის წინსვლის, მისი განვითარების ერთადერთ საშუალებად, რამდენადაც „უმეცრება" მიაჩნდათ მათ „უმთავრეს სენად" ჩვენი ერისა, მისი სიბეჩავისა, სიღარიბისა და სიდუხჭირისა.

ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების პრინციპების დამუშავების დროს, ცალკეული საკითხების თეორიული განსჯის პერიოდში, ხშირი იყო დიდი, ცხარე კამათი ნიკო ცხვედაძესა და ცნობილ ქართველ პედაგოგ-თეორეტიკოსთა შორის. მათთან ერთად, იაკობ გოგებაშვილთანაც ხშირად ეს კამათი და დისპუტები დიდხანსაც გრძელდებოდა, მაგრამ ნიკო ცხვედაძე ყოველთვის, ყველა სიტუაციაში, იყო უაღრესად კორექტული, მოწინააღმდეგის პატივისმცემელი, მისი ადამიანური ღირსების დამფასებელი, კეთილად განწყობილი, მომთმენი, მომსმენი და მიმტევებელი. ეს ისეთი მაღალადამიანური თვისებებია, რომელსაც განგება აძლევს მხოლოდ გამორჩეულ ადამიანებს, ჭეშმარიტად დიდ პიროვნებებს.

ცნობილია ერთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობაში. ერთ-ერთი სახალხო სკოლის პროგრამის განხილვისას (ეს პროგრამა ნიკო ცხვედაძემ შეადგინა), დიდი და პრინციპული კამათი გაიმართა ნიკო ცხვედაძესა და იაკობ გოგებაშვილს შორის. ეს კამათი რამდენიმე დღეს გაგრძელდა და იაკობ

გოგებაშვილმა გულწრფელად აღიარა, რომ სიმართლე, ჭეშმარიტება ნიკო ცხვედაძის მხარეს იყო.

ასეთი პრინციპული კამათი დიდმნიშვნელოვან სასკოლო-საგანმანათლებლო საკითხებზე ორ უახლოეს თანამებრძოლსა და თანამოაზრეს შორის, რომლებიც ერთ დღესაც კი ვერ ძლებდნენ ერთმანეთის გარეშე, თითქოს დაუჯერებელიც იყო, მაგრამ რეალობაა, დისკუსიები, პაექრობა და კამათი ბევრჯერ ჰქონდა ნიკო ცხვედაძეს თავის სახელოვან მასწავლებელთან და საყვარელ უფროს მეგობარ იაკობ გოგებაშვილთან, მაგრამ ამ გარემოებას ოდნავაც არ უმოქმედნია მათ მეგობრობასა და ურთიერთობაზე. ასეთივე რჩებოდა ნიკო ცხვედაძე სხვა ოპონენტის მიმართ. ეს კეთილშობილური, ჭეშმარიტად მამულიშვილური და ინტელიგენტური ადამიანური თვისება კიდევ უფრო ამაღლებდა და ალამაზებდა ნიკო ცხვედაძის პიროვნებას.

ნიკო ცხვედაძის მთლიანი პედაგოგიკური მემკვიდრეობა, საერთოდ, და მისი ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების შექმნის კონცეფცია, განმსჭვალულია ხალხურობის პრინციპით. ხალხურობის პრინციპი იყო ნიკო ცხვედაძის მსოფლმხედველობის საგანმანათლებლო საფუძველი; ხალხურობის პრინციპი წარმოადგენდა ქართველი ერისა და მისი სასიცოცხლო ინტერესების კომპლექსურ გამოხატულებას მისი ყართო გაგებით. ქართველი ერი და მისი სასიცოცხლო ინტერესები განსაზღვრავდნენ ერის მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისა და სწავლების მიზანს, ამოცანებს, მის მიმართულებას და საერთო ხასიათს, მის ორგანულ კავშირს საერთო საკაცობრიო იდეალებთან. ამდენად, ქართველ განმანათლებელთა და პედაგოგ-თეორეტიკოსთათვის ხალხურობის პრინციპი სრულიადაც არ ნიშნავს თავისი შინაარსით ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში ჩაკეტვას, ჩვენს

იზოლაციას დანარჩენი ერებისა და სახელმწიფოებისაგან, პირიქით, ხალხურობის პრინციპი გულისხმობს ეროვნულისა და საერთო-საკაცობრიო იდეალების ორგანულ, ჰარმონიულ კავშირს. ყოველ ერს, და მათ შორის ქართველ ერსაც, გააჩნია ისტორიულად ფორმირებული თვისებები, ფსიქიკურ-სულიერი წყობა, რაც ქმნის ეროვნულ ხასიათს, მას გააჩნია განვითარების ეროვნული გზა და ეროვნული, ინტელექტუალური პოტენციალი. ხალხი, ერი გასული საუკუნის ჩვენი სახელოვანი წარმომადგენლებისათვის იდენტური ცნებები იყო, ისე როგორც ხალხური და ნაციონალური, ან ეროვნული.

ქართველ ერს, ხალხს გააჩნია შემდეგი ძირითადი ბურჯი: ტერიტორია, მამული, ენა, სარწმუნოება, ეროვნული ხასიათი.

ტერიტორია ქართული სახელმწიფოსი, ხალხურობის პრინციპის თანახმად, არის ერთიანი, განუყოფელი, ხელშეუხებელი, რომელიც განსაზღვრავს ერის ერთიანობას, მთლიანობას.

ქართული ენა წარმოადგენს ერისათვის ეროვნულ არსებით ნიშანს, იგი გამოხატავს მის ინტელექტუალურ და სულიერ პოტენციალს. ქართული ენა ნიკო ცხვედაძისათვის, ისე როგორც იაკობ გოგებაშვილისათვის, ერთიანია და მისი ერთიანობა განსაზღვრავს ერის ერთიანობას, ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენს ენას იაკობ გოგებაშვილმა დედაენა უწოდა და თქვიდა, რომ ყოველ ერს „აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედა-ენად“ (5,323).

სარწმუნოება წარმოადგენს ქართველი ერის ერთიანობის, სიძლიერის, ზნეობრივი სიწმინდისა და სულიერი სიმტკიცის საფუძველს, რომელმაც შეაძლებინა ჩვენს ხალხს, გაეძლო ყოველგვარი განსაცდელისათვის და

დღეანდლამდე მოეტანა თავისი ისტორია, თავისი ეროვნული თვითმყოფადობა. ყველა აქ ჩამოთვლილმა ბურჯმა, ერთად აღებულმა, განსაზღვრა და ისტორიულად ჩამოაყალიბა ჩვენი ეროვნული ხასიათი, ჩვენი შინაგანი ადამიანური ბუნება.

ხალხურობის პრინციპმა განსაზღვრა ნიკო ცხვედაძის კონცეფცია ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების სისტემის შექმნისა.

საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის, განვითარებისა და ეროვნული პროგრესის საქმეში მისი ეკონომიკურ-კულტურული პროგრესის მიღწევისათვის ბრძოლასა და შრომაში მთავარ ფაქტორს ნიკო ცხვედაძისათვის წარმოადგენდა ეროვნული სკოლა. იგი მტკიცედ იცავდა თავისი მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ „სკოლამ უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, გაუნათლოს, შესძინოს ჭკუისა და ზნეობის ამამაღლებელი და ხალხში კეთილდღეობის მომფენი ცოდნა“ (6,271).

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ნიკო ცხვედაძე დაინტერესებული იყო რა ეროვნული სკოლის შექმნით, ეცნობოდა და სწავლობდა მოსკოვისა და, შემდეგ, პეტერბურგის სკოლების მუშაობას, მათ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. ასევე გულმოდგინედ ეცნობოდა იგი ხელმისაწვდომი ლიტერატურით დასავლეთ ევროპის სკოლებს, მათი მუშაობის შინაარსს. უკვე სტუდენტობის დროს დაწერილ იქნა და გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ნიკო ცხვედაძის წერილები, რომლებშიც იგი ცდილობს დაასაბუთოს სწავლა-განათლების საზოგადოებრივი დანიშნულება, ეროვნული სკოლის ფართო ქსელის შექმნის უდიდესი მნიშვნელობა. ამ წერილებში ნიკო ცხვედაძე მოწოდებით მიმართავს ქართულ საზოგადოებრიობას, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ისწავლონ, მაგრამ მატერია-

ლური მდგომარეობა არ აძლევდათ ამის საშუალებას. სტუდენტობის დროსვე ჩაესახა ოცნებად ნიკო ცხვედაძეს, შეექმნა ისეთი საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობდა მატერიალურად ეროვნული სკოლების დაარსებას, ცოდნა-განათლებისა და კულტურის გავრცელებას მთელს ერში. ასეთი სკოლები, ნიკო ცხვედაძის აზრით, უნდა გახსნილიყო საქართველოს ყველა კუთხეში და მათ უნდა ჰქონოდათ შესაბამისი სასწავლო მატერიალური ბაზები. ყოველ ქართულ სკოლას შეძლებისდაგვარად უნდა შეექმნა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა აუცილებელი საჭირო ლიტერატურით.

ეროვნული განათლების სისტემას უნდა მოეცვა თავის ქსელში ქართველი ერის, მთელი მომავალი თაობის, ორივე სქესის წარმომადგენლები. სახალხო განათლების სისტემაში უნდა შესულიყო შემდეგი ტიპის სკოლები: დაწყებითი განათლების, საშუალო განათლების, გიმნაზიების, პროგიმნაზიების, სპეციალური სამეურნეო-სახელოსნო სკოლები, „საქალებო სასწავლებლები". უახლოეს მომავალში, როცა საკმარისი ეროვნული სამეცნიერო კადრები ეყოლებოდა საქართველოს, ნიკო ცხვედაძე თვლიდა, რომ ჩვენში უნდა გახსნილიყო უნივერსიტეტი. ამიტომაც იყო, რომ მან თავგადადებული შრომით ააგო მომავალი ქართული უნივერსიტეტისათვის ღირსეული შენობა.

იმისათვის, რომ ქართული ეროვნული სკოლა და განათლების სისტემა მყარად შექმნილიყო ჩვენში, ნიკო ცხვედაძე 1878 წლის ზაფხულში გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში, რათა შეესწავლა იქაური სკოლები და განათლების სისტემა. მან იმოგზაურა პოლონეთში, ავსტრიასა და გერმანიაში. ამ ქვეყნებში ყოფნისას, იგი საფუძვლიანად გაეცნო სწავლა-განათლების მდგომარეობისა და სკოლის მუშაობის საკითხებს. დასავლეთ ევროპაში მიღებული შთაბეჭდილებები ნიკო ცხვედაძემ კარგად გადმოსცა თავის

უაღრესად საინტერესო ნაშრომში „მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან“, რომელიც ჟურნალ „ივერიაში“ გამოაქვეყნა, იმავე 1878 წელს, ქართველი მგზავრის ფსევდონიმით. დასახელებული ნაშრომი, მისი ღრმა თეორიული დონე, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ავტორი აღნიშნული ნაშრომისა იყო ჩამოყალიბებული მეცნიერი და მოაზროვნე, პედაგოგიკის თეორიის საფუძვლიანი მცოდნე და შესანიშნავი მკვლევარი.

ცხადია, დასავლეთ ევროპაში მიღებული შთაბეჭდილებები, იქაური გამოცდილება, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ნიკო ცხვედაძის მუშაობაში ეროვნული სკოლისა და განათლების სისტემის შექმნის საქმეში, მაგრამ იგი სრულიადაც არ აპირებდა ევროპული მოდელების მექანიკურ კოპირებას და მის დანერგვას საქართველოში.

ნიკო ცხვედაძემ ევროპაში მიღებული შთაბეჭდილებებით გაამდიდრა თავისი თეორიული ცოდნა და ჩვენი, ადგილობრივი, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით სრულიად ორიგინალური კონცეფცია შექმნა სკოლისა და განათლების სისტემის შესახებ და ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. საქმისადმი ასეთი მიდგომა იმის დამადასტურებელია,რომ ნიკო ცხვედაძე თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხების გადაწყვეტას არასოდეს არ უდგებოდა შაბლონურად, დრომოჭმული, კონსერვატული პოზიციებიდან. მისთვის დამახასიათებელი იყო საკითხების გადაჭრისადმი კრიტიკული, რეალისტური და შემოქმედებითი მიდგომა. ნიკო ცხვედაძე ღრმად სწავლობდა პედაგოგიკის კლასიკოსებს და დიდ პატივს მიაგებდა მათ, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა მათი ბრმა მიმდევარი. ამას ადასტურებს ერთი ნიშანდობლივი ფაქტი. საქმე იმაშია, რომ საზღვარგარეთ, კერძოდ კი პოლონეთში, ყოფნისას დასწრებია ერთ-ერთ სკოლაში გეოგრაფიის გაკვეთილის გარჩევას და აქტიური მონაწილეობა მიუღია

მასში, იგი სამართლიანი შენიშვნებით გამოსულა სკოლის ინსპექტორის წინააღმდეგ. იგონებდა რა ამ ამბავს იგი შემდეგ წერდა: „სხვათა შორის, მე მას (იგულისხმება სკოლის ინსპექტორი) ეუთხარი ზოგიერთი შენიშვნა პესტალოცის თეორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილის შესახებ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ შეაფუცხუნა ჩემმა შენიშვნამ ეს ინსპექტორი და ბოდიშის ხდა დაიწყო, რომ გეოგრაფიული გაკვეთილი ვერ იყო ნამდვილი პედაგოგიური, რომ პესტალოცის თეორიას მხოლოდ ცოტათი შეეხენ, მე სწორედ ეგრე მინდოდა მელაპარაკა დღეს, მითხრა მან, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ ძალიან დაგვიანდა და ამისათვის ავჩქარდიო“ (26).

ნიკო ცხვედაძეს უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის სკოლებში ქართული ენის დამკვიდრებაში, მის დაცვასა და კანონიერი უფლებების აღდგენის საქმეში.

იაკობ გოგებაშვილთან ერთად, ქართული ენისათვის ბრძოლას ნიკო ცხვედაძე მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა და ამ საშვილიშვილო საქმისათვის გაწეული ღვაწლი მისი სახოგადოებრივი მოღვაწეობის განუყრელი ნაწილი გახდა.

ნიკო ცხვედაძე სავსებით მართებულად თვლიდა, რომ ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების სისტემის შექმნას და დაფუძნებას საფუძვლად უნდა დადებოდა მშობლიური, ქართული ენა, როგორც მისი მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი.

ჭეშმარიტი ეროვნული სკოლა და სახალხო განათლების სისტემა შეუძლებელი იყო რეალურად არსებულიყო ისე, თუ მთელი სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემა არ იქნებოდა აგებული მშობლიურ ენაზე, თუ სკოლაში სასწავლო ენა არ იქნებოდა ქართული – ასეთი იყო ნიკო ცხვედაძის მტკიცე და კატეგორიული აზრი.

დასავლეთ ევროპაში მიღებული შთაბეჭდილებებიდან

ნიკო ცხვედაძე განსაკუთრებით გამოყოფდა პოლონეთის სკოლების მთავარ ღირსებას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ აქ სწავლება თითქმის ყველა ტიპის სკოლაში მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ სახელმწიფო ენა გერმანული იყო. გერმანული ენა, როგორც დამოუკიდებელი საგანი, მხოლოდ მესამე კლასიდან ისწავლებოდა, ამ ამბით აღფრთოვანებული ნიკო ცხვედაძე თავის ნაშრომში „მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან“ წერდა: „სამხედრო გიმნაზიების გარდა, ყველა სასწავლებელში მეცნიერებას ასწავლიან მარტო პოლშურს ენაზე; ერთის სიტყვით, პოლშური ენა არის საზოგადო ენად მიღებული და ამ ენაზე ავრცელებენ მეცნიერებასა და განათლებას. რაც შეეხება ნემეცურ ენას, ამას ერთ-კლასიან სასწავლებლებში სრულებით არ ასწავლიან; მაშასადამე ერთ-კლასიან და ორ-კლასიან სასოფლო სასწავლებლებში მისი ხსენება სრულებით არ არის, ამის სწავლას იწყებენ მხოლოდ სამკლასიან სასწავლებელში, -ანუ მესამე კლასიდან, სადაც ბავშვები სრულებით დახელოვნებულნი არიან თავიანთ ღვიძლის ენის ცოდნაში” (27,3).

პოლონეთის სასკოლო პრაქტიკის გაცნობამ ახალი ძალა და ენერგია შეჰმატა ნიკო ცხვედაძეს ეროვნული სკოლის შექმნის გზაზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ როგორც პოლონეთში, ისე საქართველოში „...სასწავლებელს სრულებით ნაციონალური ხასიათი” ექნებოდა.

ნიკო ცხვედაძე სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ სკოლის, სახალხო განათლების სისტემას, მხოლოდ მაშინ ექნება ეროვნული ხასიათი, ეროვნული მიმართულება და სულისკვეთება, როცა იგი მთელ მუშაობას წარმართავს ერის მშობლიურ ენაზე. მაგრამ ასე როდი ფიქრობდნენ მეფის მთავრობის ის მოხელეები, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ერის გადაგვარებას, რის გამოც ძირითადი

შეტევა მიმართული იყო ქართული ენის წინააღმდეგ. ეს ენა გამოდევნილ იქნა სახელმწიფო მმართველობიდან, დევნილი და აკრძალული იყო იგი სკოლებიდან და, როგორც წესი, ქართველ ბავშვებს სწავლების პირველი დღეებიდანვე მათთვის უცხო ენაზე ეძლეოდათ განათლება, რაც, პედაგოგიკური და დიდაქტიკური თვალსაზრისით, ყველაზე დიდი სიმახინჯე და, შეიძლება ითქვას, იგი წარმოადგენდა უდიდეს პედაგოგიურ დანაშაულსაც. ასეთ ვითარებაში ბრძოლა ეროვნული სკოლის შექმნისათვის და იქ მშობლიური ენის დაფუძნებისათვის, მთელი პედაგოგიური პროცესის ქართულ ენაზე წარმართვისათვის, ქართველ განმანათლებლებს უხდებოდათ წარმოუდგენელი წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებების გადალახვა და ამის გამო ათასგვარი გზით, ხერხით, საშუალებით იბრძოდნენ ქართული ენის კანონიერი უფლებების აღდგენისათვის.

ნიკო ცხვედაძის კონცეფცია ეროვნული სკოლისა ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობად თვლიდა, რომ ქართული სკოლის მასწავლებელი და, მით უმეტეს დირექტორი, არ შეიძლება იყოს ის პიროვნება, რომელმაც საფუძვლიანად არ იცის ქართული ენა, ეროვნული ისტორია, ეროვნული ჭირ-ვარამი და ერის მისწრაფებები. ნიკო ცხვედაძე საესებით მართალი იყო, როცა მიიჩნევდა, რომ ეროვნულ სკოლაში მასწავლებლად და მის ხელმძღვანელად უნდა იყოს მხოლოდ იმ ერის წარმომადგენლები, ვისაც სკოლა ეკუთვნით, ვის მომავალ თაობასაც სკოლა ემსახურება და ვისი ენაც წარმოადგენს ამ სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის წარმართვის ენას. ამით, რა თქმა უნდა, ნიკო ცხვედაძეს სრულებით არ სურდა დაემცირებინა სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა პედაგოგიური ნიჭი, შესაძლებლობა, უნარი, პედაგოგიური კულტურა. მას მეცნიერულად მართებულად მიაჩნდა, რომ ეროვნულ სკოლას ჭეშმარიტი ეროვნული პედაგოგიური კადრები

უნდა ემსახურებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ შეიძლება არსებობდეს ეროვნული სკოლა, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ჭეშმარიტი მამული-შვილების აღმზრდელი. ნიკო ცხვედაძის ამ დებულებას, მის პოზიციას, თვალნათლივ ადასტურებს მისი წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი, რომელიც დათარიღებული იყო 1881 წლის 21 აპრილით, ამ წერილში იგი წერდა: „უ. იანოვსკიმ ხელმეორედ დაამტკიცა, თუ რა ცუდი თვალით უცქერის ჩვენი ხალხის განათლებას, თუ რა ცოტა მნიშვნელობას აძლევს საზოგადოების აზრს და მოთხოვნილებას. მგონი ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო სასწავლებლის დირექტორმა უეჭველად უნდა იცოდეს სკოლის ენა, ხალხის მოთხოვნილებანი, მისი ხასიათი, ზნე და ჩვეულებანი. უამისოდ იმას არ შეუძლიან მოუტანოს ხალხს განათლების ჯეროვანი სარგებლობა, მაგრამ ყველა ეს ან არ სწამს უ. იანოვსკის, ან კიდევ სწამს, მაგრამ განგებ სჩადის და სახალხო სკოლების დირექტორებად ნიშნავს იმგვარ კაცებს, რომლებმაც არც სკოლის ენა იციან და არც ხალხს იცნობენ. აი ეხლა უ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი, დაინიშნა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორად; ამის მაგიერად კიდევ აქ საქართველოს გულში სახალხო სკოლების დირექტორებად გაამწესა უხეირო, გამოუცდელი, ქართული ენის უცოდინარი უ. დარსკი. ამ ათი წლის წინათ ჩვენ განმანათლებლებს შეეძლოთ ეთქვათ: „ძლიერ გვსურს ქართველთაგანი დაგნიშნოთ დირექტორებად, მაგრამ საუბედუროდ ქართველობაში არ მოიპოვებიან პედაგოგის ასპარეზზე გამოსადეგი კაცები“. ეხლა კი ამის თქმა არ შეუძლიათ, არც ერთი ქართველთაგანი უ. დარსკიზე ნაკლები არ არის. თვითოეული მათგანი ჭკუა-გონებით, გამოცდილებით ძლიერ მაღლა დგას ახალ დირექტორებზე და ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც სახალხო

სკოლებისათვის დირექტორებს ეძებენ,იმას კი არ უცქერიან, აღმოაჩინონ მართლაც გამოსადეგნი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი და ეს მოელენა როგორც განათლებული რუსისათვის, ისე განათლებული ქართველისათვის – ერთი სიტყვით ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირად ღირს ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობა, დიდი სამწუხარო მოვლენაა" (32,210-211).

იბრძოდა რა ჩვენში რუსიფიკატორული, კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ნიკო ცხვედაძე, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთერთი დამაარსებელი და მისი მუშაობის თვალსაჩინო წარმმართველი, ყველაფერს აკეთებდა ქართული ენის დაცვისათვის, მისი აღდგენისათვის ეროვნულ სკოლაში, კულტურის, ლიტერატურის და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მშობლიური ენის დამკვიდრებისათვის.

ნიკო ცხვედაძისა და სხვა ქართველ განმანათლებელთა ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია, მან თავისი ნაყოფი გამოიღო; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მატერიალური სახსრებით გახსნილ სკოლებში იმთავითვე დამკვიდრდა სწავლებაში ქართული ენა. ეს იყო დიდი გამარჯვება ქართველი განმანათლებლებისა. ამ გარემოებით გახარებული ცნობილი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე სერ. მესხი 1879 წელს წერდა: „ადრე ჩვენი შვილების სწავლა უთაურად მიდიოდა. ეხლა იმედი გვაქვს, რამდენიმე ათი ყმაწვილი მაინც ამ სკოლის წყალობით სწორედ ისეთს პირველ-დაწყებითს სწავლას მიიღებენ, როგორსაც ნამდვილი პედაგოგია მოითხოვს. ყველაზე პირველად ის მაინც იქნება, რომ ქართველი ყმაწვილები თავის გასაგებ ენაზე დაიწყებენ სწავლას. სხვა არა იყოს რა, ეცოდინებათ მაინც, თუ რას ეუბნება იმას მასწავლებელი, რაზე ელაპარაკება და რა საგანს

უხსნის-ესეც დიდი მეცნიერებაა, მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ იმიტომ გვიხარიან ამ სკოლის გახსნა, რომ იმედი გვაქვს, იმაში ისადგურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; იქ არ დაავიწყდებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოსათვის, ხალხისათვის იზრდებიან ისინი. რა კეთილნაყოფს მოიტანს ამგვარი ხასიათის სკოლა – ეს ცხადია...“ (8).

მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის, მისი შეტევის ძირითად ობიექტს, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ქართული ენა და ეროვნული სახალხო სკოლა, ის სკოლა, სადაც სასწაველო-სააღმზრდელო მუშაობა ეფუძნებოდა მშობლიურ ქართულ ენას. ეს ცხადიცაა, რამდენადაც რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი ჩინოვნიკი მოხელეები, ჩვენი ხალხის გადაგვარებისა და მისი, როგორც ერის, განადგურებისათვის საჭიროდ თვლიდნენ ძალით გარუსების პოლიტიკის ყოველმხრივ გატარებას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რუსიფიკატორული რეჟიმის გატარებაში მეფის მთავრობა იყენებდა ათასგვარ უმსგავსო ხერხებსა და მეთოდებს მზაკვრული ფორმებით. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ენის განადგურება, მისი ენის მოსპობით იყო შესაძლებელი, რადგანაც „ხალხის ენა არის მთელი მისი სულიერი ცხოვრების საუკეთესო, მარად უჭკნობი ყვავილი, რაც შორს, ისტორიის საზღვრებს იქით იწყება. ენაში სახიერდება მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო, მასში ხალხის სულის შემოქმედი ძალით აბრად, სურათად და ბგერად აისახება სამშობლოს ცა, მისი ჰაერი, ფიზიკური მოვლენები, მისი ჰავა, მისი ველები, მთები და ხეობები, მისი ტყეები და მდინარეები, მისი ქარიშხლები და ჭექა-ქუხილი. მშობლიური ბუნების მთელი ის ღრმა, აზრითა და გრძნობებით აღსავსე ხმა, რომელიც ასე ძალუმად მეტყველებს იმ სიყვარულზე, რასაც ადამიანი

განიცდის თაეის ზოგჯერ მკაცრი სამშობლოსადმი, ხმა, რომელიც ასე ნათლად გამოითქმის მშობლიურ სიმღერაში, მშობლიურ ჰანგებში და სახალხო პოეტების ლექსებში, მაგრამ ხალხის ენის ნათელ და გამჭვირვალე სიღრმეში აირეკლება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორიაც. ხალხის თაობანი ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ თითოეული თაობის ცხოვრების შედეგები რჩება ენაში, შთამომავალთა მემკვიდრეობად. დედაენის საგანძურში თაობანი ერთმანეთზე ალაგებენ ღრმა გულის ძგერის ნაყოფთ, ისტორიულ მოვლენათა, რწმენათა და შეხედულებათა ნაყოფთ, განცდილი ჭირისა და ლხინის კვალს, — ერთი სიტყვით, მთელი თაეისი სულიერი ცხოვრების კვალს ხალხი გულმოდგინედ ინახავს ხალხის სიტყვაში. ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე უხვი და მტკიცე კავშირი, რაც ერთ დიად ისტორიულ ცოცხალ მთლიანობად აერთიანებს ხალხის გარდასულ და მომავალ თაობებს. ენა არა მარტო გამოხატავს ხალხის სიცოცხლის ძალას, არამედ იგი თვით არის ეს სიცოცხლე. როდესაც ქრება ხალხის ენა თვით ხალხიც აღარ არსებობს.. ... წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი; მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ის ეერასოდეს ეეღარ შექმნის მას. ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნა, მაგრამ ენისა კი-არასოდეს: მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც, მაგრამ თუ ადამიანის სული შეძრწუნდება ერთი მომაკვდაეი ადამიანის მკვლელობის გამო, რაღა უნდა იგრძნოს ადამიანის სულმა მაშინ, როდესაც ხელყოფენ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პიროვნების სიცოცხლეს — დედამიწის ზურგზე ღეთის ქმნილებათაგან ამ ყველაზე უდიდესი ქმნილების სიცოცხლეს" (23,150). ასე აღმაფრენით და უდიდესი შთაგონებით წერდა რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი კ.დ. უშინსკი ენის შესახებ.

ქართულ სახალხო სკოლებში, განსაკუთრებით პროვინციებში, სოფლებში, ინი'შნებოდნენ მეფის ჩინოვნიკების მიერ ადამიანები, რომლებმაც ერთი ქართული სიტყვაც კი არ იცოდნენ. ამით იქმნებოდა პირობები, როცა ქართველი ბავშვი, რომელმაც ჯერ მშობლიური ენაც კი არ იცოდა, ესწავლა მისთვის სრულიად უცნობ ენაზე. ასეთ ვითარებაში ქართველმა განმანათლებლებმა და მათ შორის ნიკო ცხვედაძემ, თავის პატრიოტულ და მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩათვალეს, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინათ მეფის მთავრობის ამ ანტიქართული, ანტიპედაგოგიური და ანტიზნეობრივი ქმედებისათვის.

ამ ბრძოლაში როგორც ყოველთვის, ყველაზე შეუპოვარი, პრინციპული და უკომპრომისო პიროვნება ნიკო ცხვედაძე იყო დიდი ილიასა და იაკობის შემდეგ.

ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო გამოსვლებში, პედაგოგიურ კრებებზე, თუ სხვა სახის შეკრებებზე ნიკო ცხვედაძე ყველგან დაბეჯითებით მოითხოვდა, რათა ქართულ სახალხო სკოლებში მასწავლებლებად, და მით უმეტეს ხელმძღვანელებად, ყოფილიყვნენ მხოლოდ ეროვნული პედაგოგიური კადრები, ის ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით ფლობდნენ ქართულ ენას, იცოდნენ საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, კულტურა, ხალხის მიზნები და მისწრაფებები, პატივს სცემდნენ ქართულ ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიკო ცხვედაძე კატეგორიულად მოითხოვდა არ დაეშვათ სკოლაში მასწავლებლად პიროვნება, ვინც არ აკმაყოფილებდა მის მიერ შემუშავებულ სამართლიან მოთხოვნებს.

ეროვნული პედაგოგიური კადრები ის ძირითადი ბურჯია, რომლის გარეშეც შეუძლებელია იყო ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების ჭეშმარიტად მეცნიერულად გამართული სისტემის შექმნა. ამიტომაც ნიკო ცხვედაძე მოითხოვდა, რომ საქართველოში გიმნაზიებში და სემინა-

რიებში მოგვემზადებინა ეროვნული პედაგოგიური კადრები. იგი უახლოესი მომავლისათვის შესაძლებლად მიიჩნევდა საქართველოში უმაღლესი პედაგოგიური განათლების კერის შექმნას.

ცნობილია, რომ 1879 წლის დეკემბერში ნიკო ცხვედაძე წერა-კითხვის გამაერცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაზე წარსდგა ფართო და საინტერესო მოხსენებით, რომელშიც გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ თბილისში გახსნილიყო პედაგოგთა მოსამზადებელი კურსები, რომელიც სასწრაფოდ მოამზადებდა ქართული სახალხო სკოლებისათვის მასწავლებლებს გიმნაზიისა და სემინარიის კურსდამთავრებულთაგან, რათა მომხდარიყო უახლოეს მომავალში სკოლების დაკომპლექტება ეროვნული კადრებით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნიკო ცხვედაძე მოითხოვდა ამ კურსებზე პირველ პლანზე წამოწეული ყოფილიყო პედაგოგიკის ისტორია, რომელსაც მომავალი პედაგოგები უნდა შეეიარაღებინა წარსულის გამოჩენილი კლასიკოსების პედაგოგიკური მოძღვრებით. პედაგოგიკის ისტორიასთან ერთად მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე ნიკო ცხვედაძე ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პედაგოგიკის თეორიის კურსის სწავლებას, განსაკუთრებით, როგორც იგი უწოდებდა „პრაქტიკული პედაგოგიკის“ სწავლებას, რომელშიც გულისხმობდა აღზრდის თეორიას, დიდაქტიკას „ანუ სწავლების მეთოდიკა, ანუ შესწავლის მეთოდები”. მოსამზადებელ კურსებზე მსმენელებისათვის საფუძვლიანად უნდა ესწავლებინათ ქართული ენა, „წერა-კითხვის სწავლების თეორია“ ქართული ანბანის შესწავლის მეთოდიკა, ი.გოგებაშვილის ანბანის მიხედვით, აგრეთვე „გრამატიკის სწავლების თეორია“. მომავალი მასწავლებლებისათვის უნდა ესწავლებინათ ქართული ლიტერატურის ისტორია და მხატვრული კითხვის საფუძვლები.

ნიკო ცხვედაძე საესებით სამართლიანად მოითხოვდა, რომ მომავალი მასწავლებლების მომზადებისას ძალზე სერიოზული ყურადღება მიექციათ იმისათვის, რომ მათში შეემუშავებინათ, ჩამოეყალიბებინათ გამართული ქართული კითხვისა და თხრობა-საუბრის უნარ-ჩვევები. ეროვნული სკოლის მასწავლებელი საფუძვლიანად უნდა ყოფილიყო დაუფლებული საქართველოს ისტორიას და საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდებს.

ნიკო ცხვედაძის სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე არითმეტიკის ელემენტარული კურსის სწავლებას და არითმეტიკის მეთოდიკის კურსის საფუძვლიან შესწავლას.

მომავალი მასწავლებლებისათვის ასევე უნდა ესწავლებინათ მშობლიური ქვეყნის გეოგრაფია, აგრეთვე სხვა ქვეყნებისა და მათ შორის რუსეთის გეოგრაფიაც.

ქართველი განმანათლებლები, და მათ შორის ნიკო ცხვედაძე მოითხოვდა, რომ ეროვნულ სკოლებს მოეცვა მთელი ერის მომავალი თაობა, როგორც ვაჟები, ასევე გოგონები. განსაკუთრებულ მზრუნველობას და ყურადღებას იჩენდნენ ქართველ ქალთა განათლების მიმართ და ეს პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი იყო. მათი თეორიულ-პედაგოგიკური და საგანმანათლებლო-პრაქტიკული მოღვაწეობის პროგრამაში.

ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ცხვედაძეს ღრმად სწყეროდათ და სწამდათ, რომ შორს აღარ იყო ის დრო, როცა ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალურად დაიკავებდა საპატიო მდგომარეობას. „შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილი ადგილის დასაჭერად“ (29,278). ამ მიზნის მისაღწევად, ერთადერთ გზას, წარმოადგენდა ქალთა ფართო განათლება.

ნიკო ცხვედაძის უდიდესი ღრუნება მომავალი პედაგოგიური, ეროვნული კადრების მომზადებისათვის იმაშიც გამოიხატა, რომ იგი მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების მასწავლებლებად იწვევდა გამორჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებსა და განმანათლებლებს,რამდენადაც მათ მიიჩნევდა მასწავლებელთა მასწავლებლებად და მიაჩნდა, რომ მომავალი მასწავლებლის მომზადება არ შეიძლებოდა შემთხვევითი ადამიანების ხელში ყოფილიყო.

ნიკო ცხვედაძე მასწავლებლების წინაშე აყენებდა კატეგორიულ, მკაცრ მოთხოვნებს, რომლებიც მათ უნდა დაეკმაყოფილებინათ. ეს მოთხოვნები იყო შემდეგი: მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ფართო ზოგადი განათლება; იგი საფუძვლიანად უნდა ფლობდეს სასწავლო საგანს და ამ საგნის სწავლების თანამედროვე მეთოდიკას; მასწავლებელი უნდა იყოს ჭეშმარიტი ჰუმანისტი-დემოკრატი, რომელიც ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული პედაგოგის სპეციალობისა და მოსწავლეთა მიმართ; მასწავლებელმა რეალური, მეცნიერული ცოდნით უნდა შეაიარაღოს მოსწავლეები, განუვითაროს მათ დამკვირვებლობის უნარი საგნებსა და მოვლენებზე, ინტერესი მათ მიმართ, წიგნის კითხვის სიყვარული და მასზე მუშაობის უნარ-ჩვევები; მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის შინაგანი ძალების გამოვლენა-განვითარებას.

ნიკო ცხვედაძე მკაცრად აკრიტიკებდა შუა საუკუნეების ევროპის სქოლასტიკას, მის ბატონობას სკოლებში, რომელიც ამახინჯებდა მოსწავლის აზროვნებას, გამოუყენებელი ცოდნით უტენიდნენ თავს და სრულებითაც ვერ ამზადებდნენ მომავალ თაობას რეალური ცხოვრებისათვის.

ნიკო ცხვედაძე მასწავლებლისაგან მოითხოვდა, რომ იგი პედაგოგიურ საქმიანობას შემოქმედებითად მიდგო-

მოდა, ყოფილიყო სწავლების ახალი გზებისა და ხერხების ძიებაში და დღენიადაგ ეზრუნა თავისი პედაგოგიური ცოდნის გაღრმავებისათვის, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფისათვის.

ნიკო ცხვედაძის აზრით, სახალხო სკოლის მასწავლებლის პედაგოგიური მოღვაწეობის უმთავრესი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მომავალ თაობას ღრმად ჩაუნერგოს ქართული ენის წინაშე მდგარი სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების შინაარსი,მისი ხასიათი და მაღალი ეროვნული შეგნება, რწმენა, ბრძოლისა და შრომის წყურვილი მათი რეალიზაციისათვის.

ნიკო ცხვედაძის მართებული აზრით, მასწავლებლობა ემსახურება არა მარტო მომავალი თაობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების ურთულეს საქმეს, არამედ იგი წარმოადგენს იმ მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო ძალას, რითაც მშრომელი ხალხი უკავშირდება ერის ინტელიგენციას, იღებს მისგან ცოდნა-განათლებას და სულიერ საზრდოს აწვდის მასვე.

ნიკო ცხვედაძე თვითონ იყო ყველა იმ საუკეთესო თვისებების მატარებელი, რომელსაც იგი უყენებდა სახალხო სკოლის ეროვნულ პედაგოგიურ კადრებს. იგი იყო ჭეშმარიტად ნათელი პიროვნება, ნამდვილი ჰუმანისტი-დემოკრატი, მრავალმხრივ განათლებული საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, რომელმაც არა ერთი ღირსეული და ცნობილი ადამიანი აღმოაჩინა და აღუზარდა თავის სამშობლოს. ნიკო ცხვედაძე, შეიძლება თამამად ითქვას, პირდაპირ ეძებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს და საქველმოქმედო, სპეციალური სასტიპენდიო ფონდიდან ხარჯავდა სახსრებს,რათა ეს ახალგაზრდები გაეგზავნა საქართველოს გარეთ სასწავლებლად. აგრეთვე იგი დახმარებას და ყურადღებას არ აკლებდა იმ ღარიბ და ხელმოკლე

ახალგაზრდებს, რომლებიც საქართველოში სწავლობდნენ.

ნიკო ცხვედაძეს, როგორც ჭეშმარიტ ჰუმანისტსა და მამულიშვილს, კარგად იცნობდა საქართველოს ფართო საზოგადოებრიობა, დიდ პატივს სცემდა მას, უყვარდათ იგი და იმედი ჰქონდათ, სწამდათ და სჯეროდათ, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველს უყურადღებოდ არ დატოვებდა, მზრუნველობასა და სიობოს არ მოაკლებდა მათ. ამის დასტურია დიდი ქართველი მწერლის, მთის არწივის, ჩვენი ეროვნული სიამაყის ვაჟა-ფშაველას წერილი, რომლითაც მან მიმართა ნიკო ცხვედაძესა და დახმარება სთხოვა თავისი ვაჟის რუსეთში სასწავლებლად მივლენის ხარჯების გამოყოფის საქმეში. აი, რას წერდა ვაჟა-ფშაველა 1910 წლის თებერვალში ნიკო ცხვედაძეს: "დიდად პატივცემულო ნიკო მაკვირვებს ჩემი ბედი, ჩემი მდგომარეობა ქართველ საზოგადოებაში. გარეგანი პატივისცემა დიდი, ხელ-საქმით კი არაფერი, გინდ მე ვყოფილვარ, გინდ ქუჩა-ქუჩა მაწანწალა ძაღლი„ ძაღლს ან კი რა უჭირს, იმას პურის ნატეხს, ძვალს მაინც ვინმე გადაუგდებს. მე კი თუ ვითხოვე, რას მომთავაზებენ, ქვას და პურად ნაცარს თვალებში შესაყრელად.

განა შეიძლება ასეთი უმადურობა, ასეთნაირად ნამუსზე და ღმერთზე ხელის აღება. შეუძლებელს მე არაფერს ვთხოულობ, ჩემმა შვილმა რა დააშავა, მასაც გულგრილად რომ ეპყრობა საზოგადოება. ნორჩს, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სწავლა-განათლება ეჭირვება, რომელიც შეიძლება ფრიად სასარგებლო კაცი დადგეს. ჩემმა შვილმა როგორც სხვა ათასმა, მოწმობით გაათავა სათავადაზნაურო გიმნაზია და უსახსრობის გამო ორი წელიწადია შინ მყავს სოფელში და ლამის რაც უსწავლია ისიც დაივიწყოს. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც პატიოსან ქართველ კაცს, უანგარო მუშაკს და გთხოვთ, როგორც გამგე სარაჯიშვილის სტიპენდიებისა, დაუნიშნოთ ჩემს შვილს

სტიპენდია, რათა გაეგზავნო სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში და სხვაგან, რადგან შეისწავლოს პრაქტიკულად ყველისა და ერბოს კეთება, რაც ფრიად საჭირო და გამოსადეგია მთაში, რათა ეს ცოდნა გაავრცელოს თავის თანამემამულეთა შორის" (21, 1-2). ნიკო ცხვედაძემ გულთან მიიტანა ვაჟა-ფშაველას ეს თხოვნა და სერიოზული დახმარება აღმოუჩინა მის ვაჟს. ასეთივე დახმარებით უპასუხა ნიკო ცხვედაძემ ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, აკადემიკოს აკ. შანიძეს, იმჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს.

ნიკო ცხვედაძე არა მარტო ცალკეულ პიროვნებებზე ზრუნავდა და იჩენდა მათ მიმართ ყურადღებას, არამედ მისი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა საქართველოში არსებული ყველა ტიპის სკოლა და სასწავლებელი, რომელთა ავკარგი, დალხინება თუ გასაჭირი ზედმიწევნით იცოდა მან და ყველაფერს აკეთებდა, რათა აღნიშნულ სასწავლებელს მოეწესრიგებინა სასწავლო-აღმზრდელობითი თუ სხვა სახის საკითხები. მართებულად წერდა გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში", რომ ნიკო ცხვედაძემ იცოდა საქართველოს ყველა სკოლის მდგომარეობა, იცნობდა პედაგოგთა შემადგენლობას და დღენიადაგ იღვწოდა, ზრუნავდა მათი სოციალური დაცვისათვის, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ნიკო ცხვედაძე, როგორც პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საფუძვლიანი მცოდნე, მოითხოვდა, რომ ქართული, ეროვნული სკოლა დაფუძნებოდა მდიდარ ეროვნულ პედაგოგიკურ ტრადიციებსა და კულტურას, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ცივილიზებული ევროპის თანამედროვე, მოწინავე, პედაგოგიკური თეორიისა და პედაგოგიური პრაქტიკის მონაპოვრებს, ადგილობრივი, ქართული თავისებურებების გათვალისწინებით. აი, ასეთი „სახალხო სკოლა ჩვენს ერს გონებასაც გაუნათლებს

და გაუმდიდრებს ცოდნით, ზნეობასაც მაღლა ასწევს, დოვლათის შეძენასაც გაუადვილებს და ტერიტორიასაც შეუნარჩუნებს“ (7,326).

ნიკო ცხვედაძემ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა შესწირა ეროვნული სკოლის შექმნის ამ უდიდესი მნიშვნელობის საშვილიშვილო საქმეს.

ნიკო ცხვედაძე და სასოფლო-სამეურნეო განათლება

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი განმანათლებლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდა და მისი ფართოდ გავრცელება. ამ მიმართულებით ილია ჭავჭავაძემ გარკვეული ზოგადთეორიული პროგრამა შეიმუშავა, რომელიც სახელმძღვანელოდ იქცა ქართველი განმანათლებლებისა და მათ შორის ნიკო ცხვედაძისათვის. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება, სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნა საქართველოში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა.

ილია ჭავჭავაძე ხშირად ბრძანებდა სხვადასხვა ხასიათის თავყრილობებზე და პერიოდულ პრესაში, რომ საქართველო ღმერთის წილხვედრი მიწაა და ღმერთისგანვე ნაბოძები. იგი მდიდარია ბუნების აურაცხელი საჭირო საგნებით, წიაღისეულით; ქართული მიწა უმდიდრესია ბუნებრივი საკვებით, მრავალფეროვანია მისი ფლორა და ფაუნა. სამწუხაროდ, ასეთი ქვეყნის პატრონი, ქართველი გლეხი, უკიდურეს გაჭირვებას და ხელმოკლეობას განიცდიდა, საოცრად უჭირდა, ხშირად, ოჯახისათვის საჭირო სარჩო-საბადებლის მოყვანა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნამდვილად შრომისმოყვარე და გამრჯე იყო. მიზეზი ასეთი მდგომარეობისა,ილია ჭავჭავაძის მართებული თვალთახედვით, იყო მშრომელი გლეხობის აბსოლუტური გაუნათლებლობა. ქართველი გლეხი მოუმზადებელი, უცოდინარი იყო სოფლის მეურნეობის რაციონალურად გაძღოლაში. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მისაღებად და გასავრცელებლად ჩვენში არ იყო შესაბამისი პროფილის

სკოლები. ქაროველ გლეხს უცოდინარობისა და გაუნათლებლობის გამო არ შეეძლო გამოეყენებინა თავისი სამშობლოს მდიდარი და უნიკალური ხასიათის ბუნება, მისი ჩაყენება ერისათვის, მისი ბედნიერების სამსახურში. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძე წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო საესეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. მაშ რაღად ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით-საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და რა ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ-ისა, რაც თქვენსავე სიტყვით, თვითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერ მკლავს ხერხიანად აამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება-ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებული, ამას იმ ხერხით, ამ ოსტატობით-უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო. მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან... ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზეც უფრო ძლიერია“ (30, 252-253).

ილია ჭავჭავაძე დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს სინამდვილეში პირველ სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას, მიიჩნია იგი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენად ქართველი ერის ცხოვრებაში. დიდი ილია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ წინამძღვრიანთკარის სასწავლებელი შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობდა

მეცნიერული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას საქართველოში, შეიარაღებდა ჩვენს გლეხობას სოფლის მეურნეობის რაციონალურად გაძღოლის პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. აღნიშნულ სასწავლებელს თავისი მოსწავლეებისათვის უნდა მიეცა ის სასოფლო-სამეურნეო ცოდნა, რომელსაც იყენებდა ცივილიზებული ევროპა, მისი მოწინავე ქვეყნები. ამ გზით და მხოლოდ ამ საშუალებით ესახებოდა ილია ჭავჭავაძეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მკვდარი ამაღლება და განვითარება, რასაც საბოლოო ჯამში უნდა გამოეწვიოს ჩვენი გლეხობის საყოფაცხოვრებო პირობების რადიკალური გაუმჯობესება და საერთო- სახალხო კეთილდღეობა. გახარებული ბრძენი ილია ამბობდა: „მაშ გაუმარჯოს, ხალხო ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა!.. გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად. ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის. ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალით დაგანახოთ, რომ მართლა „ხერხი სჯობნიდეს ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო” (30, 256).

ილია ჭავჭავაძეს სურდა, რომ ქართულ სოფელს, სასოფლო-მეურნეობას გაძღოლოდნენ მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული ადამიანები, რომლებიც თეორიულ ცოდნას სრულყოფილად გამოიყენებდნენ პრაქტიკაში.

ილია ჭავჭავაძის პოზიციას, მის კონცეფციას სამეურნეო განათლების შესახებ მთლიანად იზიარებდა

და იღვწოდა მისი მატერიალიზაციისათვის იაკობ გოგებაშვილი, რომელიც დიდ ილიასეულ მოსაზრებებს ამ მიმართებით წმინდა პედაგოგიკურ ჟღერადობას ანიჭებდა როგორც თავის თეორიულ შრომებში, ასევე თავის უკვდავ სახელმძღვანელოებში. იაკობ გოგებაშვილი ისე როგორც ილია ჭავჭავაძე და სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწეები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენში საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ფართოდ გავრცელებას. ბუნების განვითარების კანონზომიერებათა ცოდნა, სასოფლო-სამეურნეო განათლება, იაკობ გოგებაშვილის აზრით, ერთადერთი საშუალება იყო ქართველი გლეხისათვის მეცნიერულ საფუძველზე წარემართა მეურნეობის გაძღოლა. „მეურნეობა მეტად რთული საგანია. მას ესაჭიროება თეორიული და პრაქტიკული შესწავლა. ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მისი კანონების ცოდნით არის აღჭურვილი. მისთვის არის სიმდიდრის წყარო, ვისაც მისი ძალთა გამოყენება, სარგებლიანობა შეუძლიან“ (3,142). იაკობ გოგებაშვილიც დიდი სიხარულით შეხვდა წინამძღვრიანთკარში, სამეურნეო სასწავლებლის გახსნასა და მისი ფუნქციონირების დაწყებას. იგი საჭიროდ თვლიდა ამ შესანიშნავი წამოწყებისათვის ყოველმხრივ დაეჭირათ მხარი ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და დღენიადაგ ესრუნათ იმისათვის, რომ საქართველოში გახსნილიყო საჭირო რაოდენობის სამეურნეო სასწავლებლები.

ნიკო ცხვედაძე, როგორც ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თანამოაზრე, მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში იღვწოდა იმისათვის, რომ ჩვენში შექმნილიყო სამეურნეო განათლების ფართო ქსელი. მან ამ მიზნით ჯერ კიდევ ევროპაში მოგზაურობის დროს საფუძვლიანად შეისწავლა იქური სამეურნეო და სხვა სახის სპეციალური სასწავლებლების მუშაობის

ორგანიზაცია, სასწაველო გეგმები და პროგრამები. ნიკო ცხვედაძემ კრიტიკულად გაანალიზა ევროპის სამეურნეო სკოლების გამოცდილება და შექმნა სამეურნეო სკოლის, მისი მუშაობისა და ორგანიზაციის ორიგინალური გეგმა-პროექტი, რომელიც მან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარუდგინა განსახილველად 1877 წელს. ძირითადი პრინციპი სამეურნეო სკოლის მუშაობის ორგანიზაციისა, ნიკო ცხვედაძის აზრით, უნდა ყოფილიყო სასწაველო მუშაობის განხორციელება ქართველი ხალხის, კერძოდ კი გლეხობის, კონკრეტული ძირითადი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა შორის იყო მოსაზრება, რომ სასოფლო-სამეურნეო ცოდნა-განათლება ქართველ გლეხობაში უნდა გაევრცელებინათ სოფლის დაწყებით სახალხო სკოლებს; რის გამოც ამ სკოლების პროგრამაში შეტანილი უნდა ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო საგნები, რომლებიც უნდა ესწაელებინათ ახალგაზრდებისათვის, როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულად. ეს იყო მიჩნეული ერთადერთ გზად, ქართველი ახალგაზრდობის მომზადებისა სოფლის მეურნეობის მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით გაძღოლისა, მაგრამ სრულიად სხვა იყო ნიკო ცხვედაძის თვალსაზრისი სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა და მისი ორგანიზების საკითხში.

ნიკო ცხვედაძის უაღრესად მნიშვნელოვანი, მეცნიერული თვალსაზრისით დახვეწილი პედაგოგიური ნაშრომი „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა" ცალკე წიგნად გამოვიდა 1903 წელს, რაც მიუთითებს იმის შესახებ, რომ აღნიშნული ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა საჭიროდ ჩათვალა ქართველმა საზოგადოებრიობამ. ამ ნაშრომში ნიკო ცხვედაძე საფუძვლიანად აანალიზებდა

საქართველოს გლეხობის მდგომარეობას, სოფლის მეურნეობის სავალალო დონეს და იძლევა დასაბუთებულ, მწყობრ თვალსაზრისს სასოფლო-სამეურნეო ტიპის სკოლების მუშაობის შინაარსს, მის მიზანსა და ამოცანებს, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. ნიკო ცხვედაძე მოითხოვდა, რომ სასოფლო-სამეურნეო განათლება ჩვენში გაევრცელებინა არა სოფლის დაწყებით სახალხო სკოლებს, არამედ სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს, რომელთა ქსელის შექმნისათვის ენერგიულად უნდა მოეკიდებინა ხელი ქართველ განმანათლებლებსა და ერის თავკაცებს, ფართო საზოგადოებრიობას. უარყოფდა რა სოფლის დაწყებითი სკოლების გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის.

ნიკო ცხვედაძე მიიჩნევდა, რომ სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის სპეციალური განათლება ახალგაზრდობას უნდა მიეღო ზოგადი განათლების მიღების შემდეგ. სპეციალურ სასწავლებელს არა მარტო თეორიული ცოდნა უნდა მიეცა მათთვის, არამედ პრაქტიკულადაც უნდა მოემზადებინა ისინი ამ ცოდნის გამოყენების უნარჩვევებით. ნიკო ცხვედაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ საფუძვლიანი სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის სპეციალური განათლების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში. სწორედ ამ მიზნით ნიკო ცხვედაძე საჭიროდ თვლიდა შექმნილიყო „საზოგადოება განათლებისა, ხელოსნობისა და მეურნეობის გავრცელებისა“, რომელიც შემოწირულებათა გზით შეგროვილი ფულით ქართველ ახალგაზრდობას გააგზავნიდა რუსეთსა და საზღვარგარეთ უმაღლესი სპეციალური განათლების მისაღებად. იგი ეარაუდობდა, რომ ამ გზით მოემზადებინათ სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე ეროვნული

კადრები, რათა მომავალში შეექმნათ აღნიშნული განათლების უმაღლესი სკოლები საქართველოში. მეორე მხრივ, ნიკო ცხვედაძე ითელიდა, რომ სანამ საქართველოში შეიქმნებოდა სპეციალური სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტიპის სასწავლებელი, უმაღლესი განათლების მქონე ეს ეროვნული კადრები გამოეყენებინათ დაწყებითი და საშუალო ტიპის სპეციალურ სასწავლებლებში მასწავლებლებად. ამიტომაც იყო,რომ ნიკო ცხვედაძე თავის შრომაში „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა" წერდა: „დრო არის თვითონ ჩვენ ჩავჭიდოთ ხელი განათლების, ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელებას და ყოველ ნაბიჯზე ვიგულისხმოთ, რომ ცოდნა არის საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა" (10, 13).

თავისი თეორიული მოსაზრებანი სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური ტიპის განათლების სასწავლებელთა შექმნის შესახებ ნიკომ ცხვედაძემ კონკრეტულ ფორმებში ჩამოაყალიბა თავის მიერ დაწერილი სამეურნეო განათლებისა და სკოლების პროექტში,რომელიც მან წარუდგინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას. ამ პროექტის მიხედვით სამეურნეო სასწავლებელი უნდა ყოფილიყო სამკლასიანი. სასწავლებლის პირველი ორი წლის განმავლობაში მოსწავლეთათვის უნდა მიეცათ როგორც საფუძვლიანი თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა-განათლება. რაც შეეხება სწავლების მესამე წელს, იგი მთლიანად უნდა დათმობოდა უშუალოდ პრაქტიკულ სწავლებას, რათა თეორიული ცოდნა, რეალურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოეყენებინათ მოსწავლეებს. რაც შეეხება სასწავლო საგნებს სამეურნეო სკოლებში, ისინი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სწავლების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. „სამეურნეო საგნებიდან ასწავლიან ყველა იმას, რასაც ჩვენი ცხოვრების

მდგომარეობა მოითხოვს. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა ხვნა-თესვას, ბოსტნეულის მოყვანას, საქონლის მოვლას" (22,2) – ასეთი იყო ნიკო ცხვედაძის აზრი.

სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლე შეიძლება ყოფილიყო ნიკო ცხვედაძის აზრით ყოველი ახალგაზრდა 16 წლის ასაკიდან 20 წლის ასაკამდე, რომელსაც ექნებოდა დამთავრებული პროგიმნაზიის სრული კურსი და ოფიციალურად წარმოადგენდა მისი ანუ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელ ატესტატს. ასე რომ, სამეურნეო სკოლაში სპეციალური განათლების მისაღებად საჭირო იყო ზოგადი განათლება. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ნიკო ცხვედაძე მოითხოვდა, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური ტიპის სასწავლებლები დაარსებულიყო ქალაქის გარეთ, ძირითადად სოფელ ადგილებში. ნიკო ცხვედაძე საჭიროდ მიიჩნევდა, რომ სამეურნეო სკოლას აუცილებლად უნდა გამოყოფოდა სპეციალური სახნავ-სათესი მიწის საჭირო ნაკვეთი, რათა მოსწავლეთა სწავლება განხორციელებულიყო უშუალოდ მათი ჩაბმით სასოფლო-სამეურნეო შრომაში. სკოლას უნდა ჰყოლოდა სხვადასხვა სახის საქონელი (ხარები, ცხვარი და ა.შ.), რათა მათი მოვლა-პატრონობა შეესწავლათ მოსწავლეებს.

ნიკო ცხვედაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1883 წელს წინათმძღვრიანთკარში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმეში. იგი ილია წინამძღვრიშვილთან ერთად 1881 წლიდან შრომობდა და იღვწოდა ამ სასწავლებლის დაარსებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის სასწავლო პროგრამები ცალკეულ საგნებში შედგენილ იქნა უშუალოდ ნიკო ცხვედაძის მიერ. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ნიკო ცხვედაძეს ქართველი განმანათლებლები, იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით თელიდნენ სამეურნეო

სკოლების ყველაზე მცოდნე და კომპეტენტურ პიროვნებად, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა თეორიული პედაგოგიკა და, რაც მთავარია, საფუძვლიანად იცნობდა ევროპის მოწინავე ქვეყნების სამეურნეო სპეცსასწავლებლების მუშაობის გამოცდილებას.

პედაგოგიურ წრეებში გავრცელებული იყო ხმები, რომ თითქოს სასწავლო პროგრამები წინამძღვრიანთკარის სასწავლებლისა შედგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ. ნიკო ცხვედაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არც კი ცდილობდა ეთქვა პროგრამების შემდგენელი მე ვარო. პირიქით, იგი სიამაყის გრძნობით აღავსო ამ გარემოებამ, რამდენადაც ქართულმა პედაგოგიურმა საზოგადოებამ ისე მოიწონა აღნიშნული სასწავლო პროგრამები, რომ ვერც კი წარმოედგინათ, რომ მისი შედგენა ასეთ მაღალ მეცნიერულ-პედაგოგიკურ და დიდაქტიკურ-მეთოდიკურ დონეზე შეეძლო იაკობ გოგებაშვილის გარდა სხვა ვინმეს. იაკობ გოგებაშვილმა აღადგინა ჭეშმარიტება და წერილში „ცოცხალი ტყუილი“ აღნიშნა: „სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვა, რომ მე მეკუთვნის მხოლოდ გეგმა სწავლებისა და განმარტებითი წერილი, პროგრამები-კი უმთავრესად შედგენილნი არიან ნიკო ცხვედაძის მიერ. ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილი, რასაკვირველია, უმხურვალეს მონაწილეობას იღებდა საქმეში, რომელსაც მან მისცა დასაბამი თავდაპირველად, თავმჯდომარეობდა კრებებზე და სამაგალითო მხნეობით მოქმედებდა, როგორც წესდებულების შედგენის დროს, ისე მისი დამტკიცების ჟამსა“ (3,408).

ნიკო ცხვედაძეს საკმაოდ სერიოზული და ფართო პროგრამა ჰქონდა შედგენილი ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სკოლების დაარსებისა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ მისცა საშუალება ბოლომდე მიეყვანა ყველა კეთილშობილი, მამული შვილური საქმე.

ნიკო ცხვედაძემ, ამ მოუღლელმა განმანათლებელმა და დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ ისე როგორც ყოველთვის, ფასდაუდებელი ამაგი დასდო საქართველოში დაწყებითი და საშუალო სპეციალური ტიპის სასწავლებლების შექმნასა და მათ მუშაობას თანამედროვე მეცნიერულ მიღწევათა დონეზე ფუნქციონირებისათვის.

ლიტერატურა:

1. არბოელი (ნ.ლომოური), ი. გოგებაშვილი (პირველი ნახევარი მისი ცხოერება-მოღვაწეობისა), კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913.
2. ბაგრატიონ-დავიდოვი, ჩემი მოგონებანი (რუსულ ენაზე). სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი №78.
3. გოგებაშვილი ი., პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, 1940.
4. გოგებაშვილი ი., რჩეული პედაგოგიური და პუბლიციხტური ნაწერები, ტ. I 1910.
5. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. 3, 1954.
6. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. 2, 1953.
7. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. 4. 1955.
8. გაზეთი „დროება“, 1879, № 131.
9. გაზეთი „ივერია“, 1900 № 225.
10. გაზეთი „ივერია“, 1888 № 37.
11. „ლიტერატურული გზეთი“, 1936.
12. იოსელიანი გ., ი. გოგებაშვილის ხსოვნას, კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913.
13. ლასხიშვილი გ., მემუარები, 1934.
14. მესხი ს., გაზეთი. „დროება“, 1879.
15. მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი, 1936.
16. მიქაბერიძე ალ., ნიკო ცხვედაძე (მოგონებანი).
17. მიქაბერიძე ალ., ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო, ჟურნალი „ნაკადული“, 1911, №11.
18. მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, 1938.
19. მიქაბერიძე ალ., ნიკო ცხვედაძე (საქ. პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი).
20. ჟურნალი „მოამბე“, 1899, №1.

21. საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 1918/2.
22. საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №1897.
23. უშინსკი კ.დ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1974.
24. ცხვედაძე ნ., დეკანოზ მიხეილ გურგენიძის გარდაცვალება მოსკოვში, გაზეთი „დროება", 1868, №33.
25. ცხვედაძე ნ., დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიკური მოძრაობა თავისი მიზეზებით მე-16 საუკუნეში, ჟურნალი „კრებული", 1872 №10-11
26. ცხვედაძე ნ., მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან, ჟურნალი „ივერია", 1878, №35.
27. ცხვედაძე ნ., მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან, ჟურნალი „ივერია", 1878, №32.
28. ცაგარელი ალ., ჩემი იუბილე, ჟურნალი „ქართული მწერლობა", 1927, №3-4.
29. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. 3, 1928.
30. ჭავჭავაძე ი., რჩ. ნაწ. ტ. IV, 1987.
31. ჭიჭინაძე ზ., დიდებული საქმე ქართველი ერისა, 1908.
32. ხუნდაძე ს., დიმიტრი ყიფიანი, 1936.
33. ქაჯაია ე., ქართველი პედაგოგები (ნარკვევები), თბ., 1955.
34. ჯაბადარი ალ., მოგონებანი, ჟურნალი „მნათობი", 1934, №4
35. Отчет о ревизии духовна-учебных заведений в Тифлисе в 1873-1874.

შინაარსი

სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური
შეხედულებები და თანამედროვეობა 3
ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური
შეხედულებების თანამედროვე გააზრება 11
მასწავლებლის სახე ილია ჭავჭავაძისა და
იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში 19
საოჯახო აღზრდა – როგორც პრიორიტეტული
მიმართულება ილია ჭავჭავაძისა და
იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ ნააზრევში 24
გიორგი წერეთლის პედაგოგიური შეხედულებები 30
ნიკო ცხვედაძის ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა 36
ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო
მოღვაწეობა 49
ნიკო ცხვედაძე ეროვნული სკოლისა და სახალხო
განათლების სისტემის შექმნის შესახებ 74
ნიკო ცხვედაძე და სასოფლო-სამეურნეო განათლება 96

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში
0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №40
www.mtsignobari.ge